ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ზაზა სარალიძე:

„მე წლებს არ ვითვლი, თუ უნდათ, ყველა დღესვე გამოუშვან, მთავარია, ამ საქმეზე სიმართლე დადგინდეს“



გვ.5

28 იანვრიდან

ბიბლიური იგავები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



ხუთშაბათი, 30 იანვარი, 2020 №24 (8288) ფასი: 60 თეთრი

„კონგრესმენების მკაცრ წერილებს ამერიკული სანქციები მოჰყვება“

სერგი კაპანაძე: „ოცნებამ“ სირაქლემის პოზაში დგომას თავი უნდა დაანებოს“

გვ.2

„ლავროვის თბილისში ჩამოსვლა საზოგადოების გამძვინვარებას გამოიწვევს“

გიორგი გუგავა: „ივანიშვილმა წინაპართა სულებიც რომ გამოიძახოს და საარჩევნო სიაში ჩასვას, „ქართულ ოცნებას“ ესეც ვერ უშველის“

გვ.3

რატომ გააძევეს ბულგარეთიდან 2 რუსი დიპლომატი

ვინ არიან დიმიტრი იაროშენკო და ალექსანდრ ხვატოვი

გვ.2

გვ.4

ვახტანგ მაისაია: „დადასტურდა, რომ მაჩალიკაშვილს არავითარი კავშირი არ აქვს ტერორიზმთან“

გვ.3

გია ბარამიძე: „ივანიშვილის შეცვლის შემდეგ პროკურატურასა და სასამართლოში რეფორმები აუცილებელია“

გვ.5

მოსამართლე ქეთევან ჯაჭვაძემ ბუტა რობაქიძის საქმეზე ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობაში დატოვა

„თემირლანის საქმეზე საპარლამენტო კომისიის შექმნა ხელისუფლებას უნდა აწყობდეს“

გედევან ფოფხაძე: „მე ამ კომისიის შექმნას ხმა მივეცი“

გომელაური საპატრულო პოლიციის ცენტრში მოქალაქეებს და თანამშრომლებს შეხვდა

გვ.5

ISSN 1987-9385

5 პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

6 ერდოღანი: „რუსეთმა პოზიცია უნდა შეცვალოს“

5 ვახტანგ რობაქიძეს ქვეყნიდან გასვლის უფლება ჩამოართვეს

6 „შეიქმნება პალესტინის სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იერუსალიმში მდებარე აბუ-დისი იქნება“

„კონგრესმენების მკაცრ წერილებს ამერიკული სანქციები მოჰყვება“

სერგი კაპანაძე: „ოცნებამ“ სირაქლემის პოზაში დგომას თავი უნდა დაანებოს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი სერგი კაპანაძე პასუხობს.

– ბატონო სერგი, ევროსაბჭოს ტრიბუნიდან საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთის დელეგაცია მაისში საქართველოში დაგეგმილ მინისტერიალზე მოიწვია. „ოცნებაში“ აცხადებენ, რომ პრეზიდენტის განცხადებებზე არაფერი იციან. როგორია თქვენი შეფასებები?

– მე მგონია, რომ ქვეყანა და მთავრობა, რომელიც ქვეყნის ინტერესებს იცავს და ქვეყნის უსაფრთხოებას იცავს, პირველ რიგში დაინტერესებული უნდა იყოს ეროვნული ინტერესით და მერე იფიქროს სხვა რაღაცებზე.

– ზურაბიშვილმა კი განაცხადა, ამის გამო კანონსაც კი დავარღვევთო...

– ამ ვითარებაში, ეროვნული ინტერესების პრიმატი გვკარნახობს, რომ ოკუპაციის შესახებ კანონი არ იყოს დარღვეული.

ეს ხელისუფლება წლების განმავლობაში ეჭქვქვეშ აყენებდა ოკუპაციის შესახებ კანონს და ბევრჯერ დაუშვა მისი დარღვევა. გავრილოვი იყო უბრალოდ ბოლო შემთხვევა ამის. ჩვენ მოვუწოდებდით მაშინ, რომ არ შემოეშვათ და მაშინდელმა შს მინისტრმა და მერე პრემიერმა, გახარიამ გვითხრა, რომ საფუძველი არ ჰქონდათ, რომ არ შემოეშვათ საქართველოში. ანუ, როცა ასეთ პოლიტიკას ატარებენ წლების განმავლობაში, ახლა უკვე გამოსავალი აღარ აქვთ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ წლების განმავლობაში არღვიეს ეს კანონი და ახლა უცნაური იქნება, რომ ადგნენ და თქვან, ჩვენ დავიცავთ ამ კანონს და ღავროვს არ შემოვუშვებთ ქვეყანაშიო. თუ აქამდე არღვევდი, ახლა მოგინდა დაცვა?!

ეს არის ერთი კომპონენტი, არის მეორე კომპონენტიც. როცა ჩვენ ამ ვალდებულებებს ვიღებდით, ანუ ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა ვხდებოდით, წინდახედული მთავრობა შეეცდებოდა, ისე მოეხდინა, რომ არ დარღვეულიყო არც ოკუპაციის კანონი და არ დარღვეულიყო არც ჩვენი საერთაშორისო ვალდებულება.

– როგორ?

– მაგალითად, ისეთნაირად უნდა გადაეწყვიტათ, რომ მინისტერიალი არ ჩაეტარებინათ საქართველოში. თუმცა ეს უკვე ჩავლილი ამბავია, ამაზე თავის დროზე უნდა ეზრუნათ.

– გამოსავალი რა არის?

– ახლა აქედან გამოსავალი არ არის. მინისტერიალი უნდა ჩატარდეს და თუ არ შემოუშვებ რუსეთს, საერთაშორისო ვალდებულება ნამდვილად დაირღვევა! ოღონდ არჩევანი უნდა გააკეთოს, თავმოყვარე ხელისუფლება რომ გვყავდეს – საერთაშორისო ვალდებულების მცირეოდენი დარღვევა და მერე ამისი ახსნა უფრო დიდი ზიანია ქვეყნისთვის, თუ ოკუპაციის კანონის დაცვა და ეროვნული ინტერესების დაცვა. ამ შემთხვევაშიც გააკეთებენ არასწორ არჩევანს. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

– რუსეთის დელეგაციამ სალომე ზურაბიშვილის განცხადებას უპასუხა, ჯერ ბოდიშით უნდა დაიწყოთო. გავრილოვის ვიზიტის გამო ბოდიში გაქვთ მოსახდელიო.

– ეს სრული სისულელეა! ვინც ამაზე სერიოზულად გასცემს პასუხის, რომ ჩვენ ბოდიში გვაქვს მოსახდელი გავრილოვის გამო, ეს კიდევ ერთხელ დაადასტურებს, რომ რუსეთის ინტერესებს ემსახურება და არა – საქართველოს ინტერესებს. სალომე ზურაბიშვილის გამოსვლაში მაგაზე უფრო ბევრად პრობლემატური სხვა საკითხი იყო, რომელიც შედარებით შეუმჩნეველი დარჩა.

– რას გულისხმობთ?

– მაგალითად, რუსეთს უნდა დაუწესდეს თუ არა სანქციები იმის გამო, რასაც ის აკეთებს უკრაინასა და საქართველოში. თანაც არ დაგვავიწყდეს, რა ორგანიზაციაში იყო ამაზე საუბარი. ევროსაბჭოში, სადაც რუსეთის სანქციერების თემა არის ერთ-ერთი მთავარი თემა ბოლო რამდენიმე წელია!

როცა იქ სიტყვით გამოდის საქართველოს პრეზიდენტი, როდესაც მისი ქვეყანა არის ოკუპირებული, იგივე პრობლემებია უკრაინაშიც და როცა მას ეკითხება უკრაინელი დეპუტატი, რას ფიქრობს სანქციებთან დაკავშირებით? როცა საქართველოს პრეზიდენტი ამას არ პასუხობს, ეს არის ეროვნული ინტერესების ღალატი!

კიდევ ერთი მწვავე საკითხი იყო, რომელიც გამოჩნდა, რომ პრობლემატურია და უბრალოდ მატყუარა და უპასუხისმგებლო წარმომადგენლები გვყავს მთავრობაში.

– რომელ საკითხს გულისხმობთ?

– როდესაც პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა მოიტყუა, რომ ჯერ გადადგა სპიკერი და მერე იყო ძალადობრივი აქცია, როგორც თვითონ მონათლა – შეტევა პარლამენტზე. არადა იყო პირიქით.

ძალიან ცუდია, თუ მათ ჰგონიათ, რომ ვიღაცა მოატყუეს ამ ფაქტების დამახინჯებით. ყველას კარგად გვახსოვს, რომ სპიკერი არ გადადგა და ბაქოდან გამოგვიცხადა, რომ არ აპირებდა გადადგომას, სწორედ მაგიტომ იყო ის აქცია ისეთი გაბრაზებული. და არა პირიქით, როგორც ახლა უნდათ რომ გაასაღონ!

ეს ყველაფერი არ იყიდება. არავინ არ უჯერებს მათ და თავს იგდებენ კიდევ უფრო უხერხულ და სამარცხვინო მდგომარეობაში.

სამწუხარო ის არის, რომ ამას ეწირება საქართველოს იმიჯი. უკვე ვხედავთ ჩვენ, როგორი განცხადებები კეთდება კონგრესში, როგორი განცხადებები კეთდება ევროპარლამენტში, ვხედავთ, რომ ქვეყნისთვის ეს არის ძალიან დამაზიანებელი.

– თუკი მართლა ჩამოვიდა ლავროვი საქართველოში, რა შეიძლება მოხდეს?

– მე მგონია, რომ ამას მოჰყვება შესაბამისი მწვავე რეაქცია საზოგადოების მხრიდან. როგორი და რა ფორმით, არ ვიცი.

– შეიძლება მივიღოთ გავრილოვის ღამე 2?

– თავისი მასშტაბით უარესი შეიძლება იყოს ეს ამბავი, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ახლა ძალიან ძნელია პროგნოზი გავაკეთო, რა იქნება მაისში. თუმცა თავისი დატვირთვით იქნება გაცილებით უფრო პრობლემატური, ვიდრე ეს იყო გავრილოვის შემთხვევაში!

– რას იტყვით კონგრესმენების წერილებზე, რომელთაც იგნორირებას უკეთებს ჩვენი ხელისუფლება?

– სინამდვილეში არანაირ იგნორირებას არ უკეთებს. თუკი ვინმეს საღი აზრი დარჩა, ძალიანაც განიცდიან. თუნდაც ეს საუბრები იმაზე, რომ ცნობიერების ამაღლების მიზნით მიემგზავრებიან, სწორედ მაგის გამოვლინებაა.

დღეს ის არის საკითხავი, რამდენად სწორად აწვდიან ივანიშვილს ამ შემაშფოთებელ ინფორმაციებს. რაც უფრო მალე შეწყვეტს სირაქლემას პოზიციაში დგომას „ქართული ოცნება“, მით უფრო ნაკლებად დაზიანდება ჯამში ქვეყანა. ასეთი კრიტიკული წერილები მერე რაღაც ეტაპზე მთავრდება ისე, როგორც დაამთავრა მოლდოველმა ოლიგარქმა, რომელიც დღეს სანქციების ქვეშ არის პირადად და რომელმაც ჯამში ძალიან დააზარალა მოლდოვა. წესით, ჩვენ არ უნდა გვინდოდეს ამ მდგომარეობაში აღმოჩენა.

– შემდეგი ნაბიჯი შეიძლება იყოს სანქციები?

– შემდეგი ნაბიჯი რა იქნება, მე არ მიყვარს ხოლმე ასე ლაპარაკი, მაგრამ თუ შევადარებთ ტენდენციას, სხვაგან ანალოგიურ სიტუაციაში რა იყო მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენეს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათ გზაზე ვდგავართ.

აქედან გამომდინარე, გამორიცხული არაფერია. სანქციები მარტო იმას კი არ დააზიანებს, ვის მიმართაც ეს იქნება, ამ შემთხვევაში ივანიშვილს. ეს დააზიანებს მთლიანად ქვეყანას.

რატომ გააძევეს ბულგარეთიდან 2 რუსი დიპლომატი

ვინ არიან დიმიტრი იაროშენკო და ალექსანდრ ხვატოვი

24 იანვარს ბულგარეთმა გადაწყვიტა მორიგი ორი რუსი დიპლომატის ქვეყნიდან გაძევება. ეს კვლავ ჯაშუშობისა და დიპლომატებისთვის შეუფერებელი ქმედებების გამო მოხდა. რუსეთის საგარეო სამინისტრო და კრემლი შოკირებულები არიან, რადგან უმცროსმა სლავმა ძმებმა 3 თვის წინაც ქვეყნიდან რუსი დიპლომატი ვლადიმერ რუსიაევი გაუგდეს. აშკარაა, რუსი დიპლომატების უკანონო და დანაშაულებრივ საქმიანობაზე რეაგირება ბალკანეთში ძალიან გამძაფრებულია, რუსებს აღარაფერს პატიობენ.

ამჯერად, ბულგარეთის გენერალურმა პროკურატურამ ქვეყნის კანონმდებლობის უხეშ დარღვევაში სოფიაში რუსეთის საელჩოს საკონსულო განყოფილების პირველ მდივანს და რუსეთის სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელს დასდო ბრალი.

ისინი პერსონა ნონ გრატად ოფიციალურად გამოაცხადეს. ბულგარულ მედიაში გაჟღერდა მათი ვინაობაც – ესენი არიან დიმიტრი იაროშენკო და ალექსანდრ ხვატოვი, რომლებიც სინამდვილეში საგარეო დაზვერვის ოფიცრები არიან.

დიმიტრი იაროშენკო იმ განყოფილება „ს“-ის ოფიცერია, რომელიც უფრო მეტად ცნობილია სახელწოდებით „არალეგალების“ განყოფილება. როგორც ბულგარეთის პროკურატურა აცხადებს, რუსეთის საკონსულოს პირველი მდივანი იაროშენკო ცდილობდა, მოეპოვებინა ინფორმაცია საარჩევნო პროცესის მექანიზმების შესახებ. ამას გარდა, როგორც განყოფილება „არალეგალების“ კურატორი ოფიცერი, ის თავის თანამდებობას საელჩოში, ბულგარეთის მოქალაქეებისგან რუსეთის დაზვერვისთვის საჭირო ინფორმაციის შესაგროვებლად იყენებდა. მისი ძირითადი მიზანი იყო რუსი მზვერავი ოფიცრებისთვის სხვადასხვა ქვეყნებში ჩასანერგად ყალბი დოკუმენტების დამზადება.

ბულგარეთის პროკურატურაში აცხადებენ, რომ იაროშენკო სახელმწიფოსთვის სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციასაც ხარბად „ეწაფებოდა“. ალექსანდრე ხვატოვი კი, როგორც რუსეთის სავაჭრო წარმომადგენლობაში დასაქმებული პირი, ძირითადად ინფორმაციას ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების თაობაზე აგროვებდა.

❖ ❖ ❖

რუსეთის საელჩო ბულგარეთში და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მომხდარის გამო ძალიან აღშფოთებულები არიან, ოფიციალურ გამოხმაურებაში აღნიშნავენ, რომ ბულგარეთის პროკურატურას არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია. ისინი ხაზს იმას უსვამენ, რომ ბულგარეთის ხელისუფლებამ ჯერ საჯარო სივრცეში გააკეთა განცხადება, ხოლო რუსეთის საელჩოს ოფიციალური ნოტით მხოლოდ ამის მერე მიმართა. კრემლში ამბობენ, ეს რა წესია, ასე მოქცევა ორ ძმურ სახელმწიფოს შორის ტრადიციულად კონსტრუქციულ ურთიერთობას არ შეესაბამებაო!

ძალიან საინტერესოდ არის ერთმანეთზე გადაბმული ოქტომბერში ბულგარელი სამართალდამცველების მიერ გამოვლენილი ჯაშუში ვლადიმერ რუსიაევის საქმიანობა და ახლა, იანვარში გამოვლენილი ორი „ჩეკისტის“ კონტაქტები.

პირველ შემთხვევაში, დადგინდა, რომ სოფიაში მოქმედი რუსეთის ფედერაციის საელჩოს პირველი მდივანი, რუსეთის დაზვერვის ფარული ოფიცერი ვლადიმერ რუსიაევი, ბულგარეთის მთავრობის წევრების გადაბირებას ცდილობდა. ჯაშუში მათ სახელმწიფო საიდუმლოებების, ეროვნული უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის, ნატოს თუ სხვა ქვეყნების შესახებ გასაიდუმლოებული ინფორმაციის მოწოდებას სთხოვდა.

ბულგარეთში მაშინ აცხადებდნენ, რომ ამ ოფიცერზე ბულგარეთის სპეცსამსახურები მოძრაობა „რუსოფილის“ ხელმძღვანელის, ნიკოლაი მალინოვის, წინააღმდეგ დაწყებულმა გამოძიებამ მიიყვანა.

ეს მალინოვი ბულგარეთის ხელისუფლებამ ჯაშუშობის ბრალდებით 2019 წლის სექტემბერში დააკავა. „რუსოფილი“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ბულგარეთში 2003 წლიდან არსებობს. მის მიზნებს შორის არის ბულგარეთის გაძლიერება რუსეთთან თანამშრომლობის შედეგად, ასევე ბულგარელ და რუს ხალხს შორის მეგობრობის გაღრმავება. „რუსოფილი“ კარგად დაფინანსებული და ქმედითი ორგანიზაციაა – იმის გარდა, რომ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ, აქციებს ატარებენ, ასევე აწყობენ „საყვარელ“ საბავშვო კონკურსებს, შაბათობებს, თეატრალურ და ლიტერატურულ საღამოებს, აფინანსებენ ბალეტ „გედების ტბის“ დადგმებს და რუსულ კულტურას აცოცხლებენ ბულგარეთში.

ორგანიზაციის ხელმძღვანელ ნიკოლაი მალინოვს, რომელიც ბულგარეთის პარლამენტის ყოფილი დეპუტატია, ჯაშუშობაში ბრალი სექტემბერში წარუდგინეს. ბულგარეთის გენერალური პროკურორი აცხადებდა, რომ მალინოვი, რომელიც რუსეთის ორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობდა, გადასცემდა მათ იმ ინფორმაციას, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეიცავდა. საუბარია საზოგადოება „ორთავიან არწივზე“, რომელსაც რუსი ბიზნესმენი კონსტანტინ მალოფეევი ხელმძღვანელობს.

მალოფეევი აფინანსებდა ანტიუკრაინულ სამხედრო გამოსვლებს ყირიმსა და უკრაინის აღმოსავლეთში. რაც შეეხება ნიკოლაი მალინოვს, ის თავის საჯარო განცხადებებში ხშირად მიესალმებოდა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას და ნატოში ბულგარეთის გაწევრიანების წინააღმდეგ აქტიურად გამოდიოდა.

მალინოვს, რომელიც ჯაშუშთა სკანდალის დროს შინაპატიმრობაში აღმოჩნდა, ბულგარულმა სასამართლომ რამდენიმე დღით ქვეყნის დატოვების უფლება მისცა. ის დედა-რუსეთში ჩავიდა და 4 ნოემბერს ვლადიმერ პუტინმა მეგობრობის ორდენი გადასცა. ეს ჯილდო კრემლის მიერ გადაეცემა ხოლმე „განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის მშვიდობის, ხალხებს შორის მეგობრობის, თანამშრომლობის და პატივისცემის დანერგვის საქმეში“ – ანუ „რუსოფილის“ ხელმძღვანელმა ისე კარგად იჯაშუშა, რომ მშვენიერი ჯილდოც დაიმსახურა.

ბულგარეთში დაბრუნების შემდეგ მალინოვი ამბობდა, რომ პუტინისგან ჯილდო იმიტომ მიიღო, რომ რუსეთის პრეზიდენტი ბულგარელ ხალხს კვლავ უფროსი მეგობრის ხელს უწვდის, წრფელი მეგობრობა, უპირველეს ყოვლისა!

მაგრამ, როგორც ჩანს, ბულგარელები პუტინის ასეთ ჟესტებს აღარ უჯერებენ, ადგნენ და ახლა კიდევ 2 რუსი დიპლომატი გაუძევეს.

მიზეზი ისევ და ისევ ის არის, რომ კრემლი მეგობარ ქვეყნებსაც კი უკვე ძაღლად არ აგდებს, თავისი მარგინალური მიზნების მისაღწევად ცინიკურად იყენებს „გედების ტბასაც“ და რუსეთის დაზვერვასაც, სუვერენული ქვეყნების კანონებს თელავს და ადამიანებს თვალებში ნაცარს აყრის.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ლავროვის თბილისში ჩამოსვლა საზოგადოების გამძვინვარებას გამოიწვევს“

გიორგი გუგავა: „ივანიშვილმა წინაპართა სულებიც რომ გამოიძახოს და საარჩევნო სიაში ჩასვას, „ქართულ ოცნებას“ ესეც ვერ უშველის“

მარიამ მჭედლიშვილი

თბილისში მაისში ტარდება ევროპის საბჭოს მინისტერიალი. საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საქართველო რუსეთის დელეგაციასაც უმასპინძლებს. ეს იმას ნიშნავს, რომ დროებით შეჩერდება „ოკუპირებული ტერიტორიების“ კანონის მოქმედება და საქართველოს ეწვევიან რუსეთის ის ოფიციალური პირები, რომლებსაც დარღვეული აქვთ ეს კანონი. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის გენმდივან გიორგი გუგავას

– თქვენი აზრით, რა რეაქცია ექნება საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს და საზოგადოებას იმაზე, თუ 14-15 მაისის ევროპის საბჭოს მინისტრების ფორუმს რუსეთის დელეგაცია ეწვევა?

– ეს იქნება „გავრილოვის ამბების“ გამეორება. სულ ერთია, რა ფორმატით იმართება ღონისძიება. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვს პირდაპირ ეპატიჟებიან საქართველოში. ლავროვს მხოლოდ „ოკუპირებული ტერიტორიების“ შესახებ კანონი არა აქვს დარღვეული. იგი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც უკანონოდ დადიოდა და სხვა დანაშაულიც მიუძღვის ჩვენ წინაშე.

ლავროვი პუტინთან ერთად არის საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და ამ ტერიტორიების აღიარების ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე. ის დაკავშირებულია ოკუპაციასთან, ბორდერიზაციასთან და გენოციდურ მოქმედებებთან. რუსეთის დელეგაციის ჩამოსვლა ამ ფორუმზე საზოგადოების გამძვინვარებას გამოიწვევს. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა დასავლელი მოკავშირეები ასეთ კრიტიკულ პოზიციას გამოხატავენ საქართველოს ხელისუფლების მიმართ.

– განსაკუთრებით, ვაშინგტონიდან იყო ბევრი კრიტიკული გზავნილი.

– დიახ. ამ წერილებში აქცენტები იყო გადატანილი დემოკრატიულ უკუსვლასა და კორუფციის ზრდაზე. ბოლო დროს ივანიშვილის რეჟიმმა თავისი ნამდვილი, პუტინისტური სახე გამოაჩინა. ამას თუ კიდევ რუსეთის დელეგაციების ზარ-ზეიმით მიღებები დაემატება, ეს იქნება საოკუპაციო დროშის აღმართვა ქვეყანაში. იმედი მაქვს, გონიერება ეყოფათ და აქამდე არ მივლენ.

– უკრაინული მედიის ინფორმაციით, სტრასბურში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტმა და საგარეო მინისტრმა თავი შეიკავეს რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესებისაგან. ფაქტიურად, მათ ახალ სანქციებს მხარი არ დაუჭირეს.

– ვერ ნახეთ, რომ პრეზიდენტსაც თავის გამოსვლაში არ გაუკეთებია აქცენტები, რაზეც ბევრი უნდა ელაპარაკა – რუსეთის ოკუპაციაზე, ბორდერიზაციაზე, გეტოებზე, ქართველების დახოცვაზე. მაგალითად, ოთხზორიანზე, ტატუნაშვილზე, ბაშარულსა და სხვებზე.

– მან ამაზე არასაკმარისად ისაუბრა?

– რასაკვირველია. ამხელა ტრიბუნა რომ გაქვს, მსოფლიოს უნდა გააგებინო, რა ხდება, უნდა დაიცვა ქვეყნის ინტერესი. ახალგორში რომ ჰუმანიტარული კრიზისია, გალში კი მშობლიურ ენაზე სწავლას უკრძალავენ ადამიანებს, ეს არ უნდა ეთქვა?! უკრაინელებსაც ჩვენგან მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ. უკრაინაც ჩვენსავით რუსეთის მიერ ოკუპირებული სახელმწიფოა. ივანიშვილიც და ზურაბიშვილიც აკეთებენ რუსულ საქმეს და არ ემსახურებიან საქართველოს ინტერესებს. ისინი წარმოადგენენ საფრთხეს საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის.

– დასავლეთიდან კრიტიკა გაგრძელდება?

– აუცილებლად იქნება მაღალი დონის მკაცრი შეფასებები. ამ წერილებსა და გზავნილებზე ბევრი ითქვა. ამას არ გავიმეორებ. მინდა სხვა რამეზე გავამახვილო ყურადღება – ის, რომ საქართველომ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, ჩვენს მოსახლეობასთან ერთად, ესაა ისეთი ზესახელმწიფოს დამსახურება, როგორიც არის აშშ. 5 მილიარდამდე ინვესტიციების, ჯანდაცვის (ცე ჰეპატიტის ელიმინაცია) თავდაცვისა და სხვა სფეროების დახმარების გარდა, ამერიკა გვეხმარება დემოკრატიულ განვითარებაში.

ანტიდემოკრატიულ ტენდენციებს ჩვენი მოკავშირეები კარგად ამჩნევენ. ეს ურთიერთობები დასაფასებელია. პარტნიორების იგნორირებამ შეიძლება მიგვიყვანოს იზოლაციამდე. ქვეყნის იზოლაცია ნიშნავს კავშირის გაწყვეტას დასავლელ პარტიორებთან, რაც აწყობს რუსეთს. ივანიშვილი ამ გზას ადგას, მაგრამ ჩვენ ამას არ დავუშვებთ. გადამწყვეტი სიტყვა ხალხმა უნდა თქვას.

– ხალხმა რა უნდა მოიმოქმედოს?

– რუსეთის უკანა ეზოდ რომ არ გვაქციონ, საზოგადოებამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ივანიშვილის მმართველობის მშვიდობიანად ჩამოშორებაში. ადამიანებმა უნდა გააკეთონ თავისი არჩევანი. ჩვენმა მოკავშირეებმაც აღნიშნეს, რომ აუცილებელია სამართლიანი არჩევნები. თუ ივანიშვილი არაფერს იღონებს მდგომარეობის გამოსასწორებლად, კრიტიკა გადაიზრდება სანქციებში. ივანიშვილი დაკარგავს თავის ქონებას.

– მოქმედი სისტემით რომ გაიმართოს არჩევნები?

– ხელისუფლებას კიდევ აქვს შანსი, შეცვალოს სისტემა და შეასრულოს დანაპირები პროპორციული არჩევნების შესახებ. პროპორციული არჩევნები დაასრულებს მწვავე პოლიტიკურ კრიზისს. პოლიტიკური პროცესები ქუჩიდან პარლამენტში გადაინაცვლებს და ყველაფერი მშვიდობიან კალაპოტში ჩადგება.

თუ ივანიშვილი ამას არ გააკეთებს და არჩევნებს გააყალბებს, მაშინ არჩევნები არ იქნება ლეგიტიმური. ამაზე ამერიკელმა მოკავშირეებმაც ისაუბრეს. ამას ხალხიც არ მოითმენს. ასეთ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით, ივანიშვილის ხელისუფლება სხვა გზით გავუშვათ. არადა, ეს არ გვინდა. ჩვენ ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლის მომხრენი ვართ. იმედი მაქვს, რომ ხელისუფლებას ეყოფა გონიერება და მდგომარეობას აქამდე არ მიიყვანს.

– ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში შეიყვანს თავის უფროს ვაჟს, უტას.

– მაგას არანაირი მნიშვნელობა არ ექნება. ხალხმა „ოცნებას“ განაჩენი უკვე გამოუტანა. ეს დაფიქსირდება ოფიციალურადაც. ივანიშვილმა მთელი თავისი სანათესავო რომ აამქმედოს, წინაპართა სულებიც რომ მოიყვანოს და საარჩევნო სიაში ჩასვას, „ქართულ ოცნებას“ ესეც ვერ უშველის. საქართველოს უარესი დღეები გაუვლია. ამასაც გადავიტანთ და ამ ხელისუფლებას გავისტუმრებთ.

გია ბარამიძე: „ივანიშვილის შეცვლის შემდეგ პროკურატურასა და სასამართლოში რეფორმები აუცილებელია“

იაგო ნაცვლიშვილი

თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელობის საქმეზე პროკურატურამ გამოძიება შეწყვიტა. მოკლული ახალგაზრდის ოჯახი და ოპოზიცია პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს, ხელისუფლება კი ჯიუტად ეწინააღმდეგება და აცხადებს, რომ ამის საჭიროებას ვერ ხედავს.

რა ხდება ამ საქმესთან დაკავშირებით? რას ნიშნავს ირაკლი შოთაძის სავარაუდოდ გენერალურ პროკურორად დაბრუნება, მაშინ როცა, ამ საქმეშიც მოხდა ბევრი რამის ფალსიფიკაცია? და რა უნდა მოხდეს იმისათვის, რომ საგამოძიებო სტრუქტურების მიმართ კითხვის ნიშნები აღარ იყოს? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გია ბარამიძე საუბრობს:

– სადამდე მიდის სახელმწიფო მაჩალიკაშვილის თემასთან დაკავშირებით. ვნახეთ დღეს, როგორ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება მოკლული თემირლანის მამა მალხაზ მაჩალიკაშვილი, ცუდადაც კი გახდა. როგორია თქვენი შეფასება ამ საკითხზე, რაც ხდება მაჩალიკაშვილის თემის ირგვლივ?

– ეს არის უმძიმესი ფაქტი, როდესაც აშკარაა, რომ სახელმწიფო უსამართლოდ და სასტიკად ექცევა ზოგადად ამ ოჯახს. ცხადია, რომ აბსოლუტურად უდანაშაულო ახალგაზრდა ლოგინში მოკლეს და არანაირი მტკიცებულებები არ წარმოუდგენიათ მის მიმართ, რომ ის რაიმე კავშირში იყო ტერორიზმთან, ან რაიმე სახის დანაშაულთან შემხებლობა ჰქონდა. პირიქით, ცდილობენ, ისიც კი გადაფარონ, რომ თავიანთი დანაშაულებრივი უმოქმედობით ან როგორც ინფორმაცია არის საერთოდ, დანაშაულებრივი ქმედებებით შემოიყვანეს ერთ-ერთი ცნობილი ტერორისტი ახმედ ჩატაევი, რომელმაც თბილისის ერთ-ერთ უბანში დაიდო ბინა და ასე გაიმაგრა პოზიციები. იმდენად, რომ დიდი ხნის განმავლობაში შესაძლებლობა ჰქონდა ჩვენი სპეცრაზმისათვის გაეწია წინააღმდეგობა.

ასეთ ვითარებაში, როდესაც ცალხელა და ცალფეხა კაცი „შემოგეპარება“ ქვეყანაში, ამას თუ ვიღაცა დაიჯერებს, არ ვიცი.



– თქვენ რა ეჭვი ან ვარაუდი გაქვთ?

– ეჭვი რა, ერთმა ადამიანმა თქვა, რომ ეს ადამიანი სპეცსამსახურის წარმომადგენლებმა შემოიყვანეს ფულის სანაცვლოდ.

– ეს რას ნიშნავს? დანაშაულებრივ შემთხვევასთან გვაქვს საქმე?

– დანაშაულებრივი კავშირია. ფულის სანაცვლოდ შემოიყვანეს და შემდეგ იძულებული იყვნენ, რომ მის მიმართ რაღაც ღონისძიებები გაეტარებინათ, თუმცა ქალაქის უბანში იყვნენ, რომლებიც გადიოდნენ და გამოდიოდნენ და ცალ-ცალკე შეეძლოთ აეყვანათ და არა ისე, რომ ქალაქის კორპუსში ომი გაემართათ, სადაც ახლო-მახლო უამრავი მოქალაქე იყო. ცდილობენ, რომ ამას მიაწერონ ეს ახალგაზრდა. ფაქტია, რომ ლოგინში მოკლეს.

ამ პრეტენზიას აყენებს მამამისი, რომ თუ ყუმბარა ეჭირა ხელში, რანაირად მოხდა ისე, რომ ყველაფერს სისხლი ჰქონდა მის გარშემო – ბალიში, ტელეფონი... და თუ ხელში ყუმბარა ეჭირა, ამ ყუმბარას სისხლის რანაირად არ ემჩნეოდა?! თუკი შემდეგ არ ჩაუდეს?! რომელ ადამიანს სძინავს ყუმბარით ლოგინში. მით უმეტეს, 18 წლის ახალგაზრდას, ესეც ლოგიკური განსჯის საგანია. ყოველ შემთხვევაში არაფერი წარმოუდგენიათ მათ ამის დამადასტურებელი, რომ ეს ადამიანი ტერორისტებთან რაიმე სახით იყო შემხებლობაში.

– ანუ იმას ამბობთ, რომ ფაქტია, ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა?

– დიახ. ფაქტია, რომ მისი ოჯახის წევრებისთვის ეს არის მოკლული თინეიჯერი ლოგინში. როდესაც მამამისი ითხოვს გამოძიებას, სხვას არაფერს ითხოვს. კი მას აქვს სხვადასხვაგვარი ეჭვები, მაგრამ ეს სხვა საკითხია. ამბობს, რომ მოდით, ეს ეჭვები გადაამოწმოს პარლამენტმა და იქ შეიქმნას საგამოძიებო კომისია.

გასაგებია რატომაც არ ენდობა სამთავრობო სტრუქტურებს. ამაზეც არ თანხმდებიან და ასე ცინიკურად. ფაქტობრივად ცინიკური მოპყრობაა ეს ამ ოჯახის მიმართ, როგორც ამ გამწარებულ ოჯახს ეპყრობიან. ნათელია, რომ საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა მორალურად ამ ოჯახის გვერდით დგას და ეს ბუნებრივიცაა. წარმოუდგენელია, რომ არ თანაუგრძნობდე მამას, რომელსაც 18 წლის თინეიჯერი ბიჭი ლოგინში მოუკლეს. უიარაღო და უდანაშაულო.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამ საქმეში არ ყოფილა არანაირი ბრალდებები. ეს ახალგაზრდა არ იყო ბრალდებული რაიმეში. შესაბამისად, ერთია, როდესაც ბრალდებულს მიაკითხავ და ის წინააღმდეგობას გიწევს და ამ დროს პოლიცია იყენებს ძალას, ხოლო მეორეა, როდესაც არაბრალდებულ თინეიჯერ ბიჭს, უიარაღო ახალგაზრდას, რომელიც არანაირ წინააღმდეგობას არ გიწევს, ლოგინში კლავ. მოთხოვნაზე, რომ ეს საკითხი იყოს გამოძიებული, მას აიგნორებ და აბუჩად იგდებ და მასხრად ამ შვილმოკლულ მამას და მთლიანად ამ გაუბედურებულ ოჯახს.

– საქმეში გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება ირაკლი შოთაძესაც, რომლის გენერალური პროკურორობის დროს დაიწყო ბევრი რაღაცის ფალსიფიცირება, მათ შორის, ამ საქმეშიც. როდესაც დაიწყეს პროცედურა მისი ხელმეორედ მოყვანის თაობაზე, ეს არის თუ არა საზოგადოების დაცინვა?

– რა თქმა უნდა. ყველა კომპონენტი, რომელიც შეგვიძლია ამ თემასთან დაკავშირებით გამოვყოთ, ყველა კომპონენტში ტყუის სახელმწიფო ამ ოჯახთან და ცინიკურად და სასტიკად იქცევა.

– ამაზე პასუხი რა უნდა იყოს?

– ამაზე პასუხი ერთადერთია და ეს არის ამ ხელისუფლების მოცილება. იცით, რომ ოპოზიცია უკვე დიდი ხანია ილუზიებში აღარ ვართ. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი აუცილებელია ისეთი პროკურატურის შექმნა, რომელიც არ იქნება რომელიმე პარტიაზე დამოკიდებული და არ იქნება პოლიტიკურ კონიუნქტურაზე დამოკიდებული. ვერავინ ვერ გაბედავს, რომ ვინმე მაღალჩინოსნის ინტერესი დაიცვას და მას ხელი დააფაროს. ასევე უნდა მოხდეს სასამართლოს ისე რეფორმირება, რომ მოსამართლეები არც ქრთამს იღებდნენ და არც მთავრობაზე არ იყვნენ დამოკიდებულები. ეს ორი კომპონენტი აუცილებელია და ეს გაკეთდება იმ დროს, რა პერსპექტივაც რეალისტურია. ვგულისხმობ იმას, რომ კოალიციური ხელისუფლება მოვა ქვეყნის სათავეში ივანიშვილის გაშვების შემდეგ.

– ეს მიღწევადი გგონიათ?

– კი, რა თქმა უნდა, ეს მიღწევადია, თუ ჩვენ რაიმე დიდი შეცდომები არ დავუშვით. ამ ვითარებაში ეს არა თუ მიღწევადი, არამედ გარდაუვალია. თუ შევხედავთ რა მდგომარეობაშია ქვეყნის ეკონომიკა, რა მდგომარეობაშია თითოეული მოქალაქის სოციალური და ეკონომიკური პირობები, როგორი გულის ტკივილი აქვს ხალხს სოციალურ საკითხებზე, სამუშაო ადგილებზე, კრიმინალზე, კორუფციაზე თუ სხვა, გასაგებია, რომ ხელისუფლება შეიცვლება და მერე გავატარებთ ცვლილებებს.

– ამ კითხვას იმიტომ ვსვამ, რომ მერე ივიწყებენ ხელისუფლებები დაპირებებს და თქვენ, როგორც ერთ-ერთი სუბიექტი, ჰპირდებით საზოგადოებას, რომ ამ დაპირებების უგულებელყოფა ამჯერად მაინც არ მოხდება?

– ეს აუცილებელი ნაბიჯია და მე ვფიქრობ, რომ მომავალი კოალიცია, სადაც პარტიათა ერთიანობა იქნება, აუცილებლად გამოვა ამ ინიციატივით, რომ ერთხელ და სამუდამოდ ამ მოჯადოებულ წრეზე სიარულს თავი უნდა დავანებოთ. ახლა იქნება ამის ყველაზე კარგი შესაძლებლობა, რადგანაც იქნება კოალიცია. ამდენი ხანია ეს არის პრობლემა და ყველამ ვისწავლეთ, მათ შორის ჩვენს მწარე გამოცდილებაზე და ყველამ ყველაფერი კარგად გაიგო და გააცნობიერა, რომ თუ, ვთქვათ, 2003 წლის მთავარი ამოცანა იყო კრიმინალთან და კორუფციასთან ბრძოლა, ახლა აუცილებელია რეფორმების განხორციელება პროკურატურასა და სასამართლოში იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ამ სტრუქტურების მიუკერძოებლობა და მიღწეული იყოს დამოუკიდებელი მართლმსაჯულება სასამართლოში.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ: 598-43-98-57

„თემირლანის საქმეზე საპარლამენტო კომისიის შექმნა ხელისუფლებას უნდა აწყობდეს“

გედევან ფოფხაძე: „მე ამ კომისიის შექმნას ხმა მივეცი“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს თემირლან მაჩალიკაშვილის საქმის გამო პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნაზე.

– ბატონო გედევან, პროკურატურის გადაწყვეტილების შემდეგ, მალხაზ მაჩალიკაშვილი კვლავ ითხოვს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნას. როგორია თქვენი პოზიცია?

– თავის დროზე, როდესაც ეს საკითხი პარლამენტში კენჭისყრაზე დადგა, მე ხმაც მაქვს მიცემული. საგამოძიებო კომისიის შექმნის საწინააღმდეგო პოზიციას ნამდვილად ვერ დავაფიქსირებ.

– 50 დეპუტატის მხარდაჭერაა საჭირო საგამოძიებო კომისიის შესაქმნელად. რატომ ჭიანურდება?

– ვერ გეტყვით. ხელისუფლებას თავად უნდა აწყობდეს, რომ საგამოძიებო კომისია შეიქმნას და საზოგადოებაში არსებულ კითხვებს პასუხები გაეცეს. თუ თავად სახელმწიფო ამ საკითხს მიუდგება ისე, რომ ყველას დაანახებს, რომ მას არ აქვს სიმართლის დამალვის ინტერესი, მაშინ ამას ოჯახიც იგრძნობს.

ამ პროცესში თუ ყველა ჩავერთვებით არა პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, არამედ ამ საქმეზე სიმართლის დასადგენად, მაშინ ეს სახელმწიფოსთვისაც იქნება გამოსავალი. ამ შემთხვევაში ალბათ ოჯახსაც ნდობის მომენტი ექნება გამოძიების მიმართ. ეს პოლიტიკური სპექტრისთვისაც ყველაზე სწორი გამოსავალი იქნებოდა.

ასეთ ვითარებაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ხელისუფლების მხრიდან იქნება შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა, რომ ყველაფერს ნათელი მოეფინოს. თუ ეს არ მოხდება, მეტი კითხვები იქნება.

– სახელმწიფომ ეს ადამიანი ტერორისტად გამოაცხადა. ხელისუფლება დახურულ შეხვედრაზე საუბრობს, სადაც ამის შესახებ მტკიცებულებები იყო წარმოდგენილი. ესწრებოდით ამ შეხვედრას?

– არა, მე არ ვესწრებოდი ამ შეხვედრას, მაგრამ ვიცი, რომ ასეთი შეხვედრა ნამდვილად იყო.

– ოპოზიციაც კი ესწრებოდა, მაგრამ კითხვები არ გაჩენილაო. შეიძლება მართლაც წარმოედგინათ ისეთი მტკიცებულებები, რომ ერთი კითხვაც არ გაჩენილიყო?

– ვინაიდან შეხვედრაზე არ ვიყავი, კატეგორიული ვერ ვიქნები, მაგრამ თუ ასეთი მტკიცებულებები არსებობს, მათი გასაჯაროების შანსი არის და შეიძლება ამის საჭიროება დადგეს. ეს უკვე არის სამართლებრივი პროცესის შექმნის წინაპირობა. როდესაც ასე საჯაროდ გადადიან კატეგორიულ მტკიცებაზე, მაშინ მტკიცებულებებიც უნდა წარმოადგინონ.

– სარალიძის საქმეზე შექმნილმა საგამოძიებო კომისიამ ბევრ კითხვას გასცა პასუხი და რეალურად გამოავლინა ის ხარვეზები, რაც საქმეზე არსებობდა გამოძიების პროცესში. შეიძლება სწორედ ამას გაურბის ამ შემთხვევაში „ქართული ოცნება“?

– უკვე ამ ვერსიის გაჩენა და არსებობა ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება თავად უნდა იყოს მოწადინებული, რომ შექმნას საგამოძიებო კომისია პარლამენტში. ასეთი ვერსიები მრავლად შეიძლება გაჩნდეს. ამიტომ, მათი გაბათილების ერთადერთი საშუალება კომისიის შექმნაა.

სამართლებრივ ფორმაში უნდა ვეძებოთ სიმართლე და ეს ბევრად უფრო უნდა აწყობდეს ხელისუფლებას.

– გია ვოლსკი აცხადებს, მაჩალიკაშვილი არათუ პარლამენტში, სხვა დაწესებულებებშიც არ უნდა დაუშვან, ვიდრე სასამართლო არ გადაწყვეტს, რა დოზითაა ამ ადამიანის კავშირი იმასთან, რასაც ტერორისტული ჯგუფის გადმოსვლა ჰქვიაო. რა კომენტარს გააკეთებთ?

– ასეთი პოზიციით ამ პროცესს ხელი არ ეწყობა. უფრო მეტი კითხვა ჩნდება და უფრო მეტ დაძაბულობას ვქმნით. თეორიულად არ გამოვრიცხავ, რომ ადამიანი ტერორისტი იყოს და მას სახელმწიფო შეებრძოლოს, მაგრამ როდესაც ამ პროცესში კითხვები ჩნდება, მათ სახელმწიფომ უნდა უპასუხოს. ეს მისი ვალდებულებაა.

ტერორიზმთან ბრძოლის იდეით შენი მოქალაქის უფლებები არ უნდა დაარღვიო. არ უნდა მოხდეს უფლებრივ ან უსაფრთხოების ნაწილში ისეთი გადახრა, რაც რეალობასა და სიმართლესთან დაგვაშორებს.

ამიტომ, წინასწარ ასეთი კატეგორიული ტონით მე არ ვილაპარაკებდი. არსებობს კითხვები და სახელმწიფო ვალდებულია, ამ კითხვებს პასუხები გასცეს.

ვახტანგ მაისაია: „დადასტურდა, რომ მაჩალიკაშვილს არავითარი კავშირი არ აქვს ტერორიზმთან“

გულიკო ბალაძე

პროკურატურამ თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე სისხლი სამართლის საქმის წარმოება შეწყვიტა. ამ თემაზე „ახალ თაობას“ ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია ესაუბრა.

– ბატონო ვახტანგ, ორწლიანი ვნებათაღელვის შემდეგ, პროკურატურამ თემირლან მაჩალიკაშვილი მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყვიტა. თქვენ რა შთაბეჭდილება შეგექმნათ?

– შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მაჩალიკაშვილის ტერორისტობაზე ხელისუფლება უკვე აღარ საუბრობს. როგორც მე ვხედავ, თემირლან მაჩალიკაშვილი ტერორისტი არ იყო. მგონი, ფაქტობრივად, ეს ტერორისტობის ბრალდება თემირლანს არც ჰქონდა მიყენებული.

არ აქვს მნიშვნელობა, თემირლანი დაიღუპებოდა თუ არა, მას ბრალდება ყველა შემთხვევაში წარედგინებოდა ტერორისტული ორგანიზაციის ქმედების ხელშეწყობაში.

– პროკურორმა ხელშეწყობაზეც ისაუბრა, უბრალოდ, საქმე შეწყვიტეს გარდაცვალების გამო.

– არ ვიცი, პროკურორი რას ამბობს. დღეს სტრუქტურებში ისეთი არაპროფესიონალების კასტაა მოკალათებული, რომ პროკურორის განცხადებებს ვერ დავეყრდნობი. მე ვარ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულების საერთაშორისო დონის სპეციალისტი. ბოლოსდაბოლოს ეუთოს ექსპერტი ვიყავი ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში და ნატოს პს-ის კონსორციუმის ტერორიზმთან ბრძოლის სამუშაო ჯგუფის წევრი ვარ.

საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ტაქტიკიდან გამომდინარე, ჩემთვის ცხადია, რომ თემირლან მაჩალიკაშვილს ტერორიზმის მხარდაჭერის ბრალდება არ წარედგინა. ეს არის მთავარი. არ აქვს მნიშვნელობა, ის მკვდარია თუ ცოცხალი. ტერორიზმი არის საერთაშორისო დონის დანაშაული, უმძიმესი დანაშაული. ამაზე მძიმე დანაშაული მსოფლიოში გენოციდის ჩადენა და ხელშეწყობაა.

ამაზე დიდი დანაშაულები არ არსებობს. ამიტომ ადამიანი ცოცხალია თუ მკვდარი, თუ მას რაიმე სახით ექნებოდა შეხების წერტილი ტერორისტულ ორგანიზაციასთან, ან მხარდაჭერასთან ან სპონსორობასთან, არავინ დაინდობდა, დამიჯერეთ.

– თქვენ პროკურორის არ გჯერათ, მაგრამ მან განაცხადა, რომ თემირლან მაჩალიკაშვილამდე გავიდნენ გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის გამოძიებიდან გამომდინარე, რომელიც უკავშირდებოდა ტერორიზმში ბრალდებული ჩატაევისა და მისი ჯგუფის აყვანას. გამოძიებისას კი, ამ ჯგუფისთვის დახმარების ფაქტი გამოვლინდა და, სასამართლოს განჩინებით სპეცოპერაცია ჩატარდა თემირლან მაჩალიკაშვილის ასაყვანად. მაშინ ეს რას ნიშნავს? შეცდომა მოხდა?

– როგორც ჩანს, შეცდომა მოხდა. შეიძლება ვიღაც-ვიღაცებზე გავიდნენ და დააკავეს. შეიძლება სასამართლოშიც იყოს საქმე, მაგრამ დღევანდელ სასამართლო სისტემაში განჩინების აღებაც არ არის პრობლემა. მიხეილ სააკაშვილის სასამართლო და დღევანდელი სასამართლო, რეალურად, ერთმანეთისაგან არ განსხვავდება.

ადამიანს ჯაშუშობაში მდებდნენ ბრალს და მოსამართლეები ისე ადასტურებდნენ პროკურატურის ბრალდებას, როგორც ნოტარიუსები. რა გარანტიაა, რომ მურუსიძის სასამართლო იგივენაირად არ მოიქცევა, როგორც კუბლაშვილ-ადეიშვილის ავტოკრატიული სასამართლო, რომელიც ასევე დამნაშავეა სააკაშვილ-ბოკერიას დამნაშავე რეჟიმის შექმნაში. დღეს არის მურუსიძის სასამართლო. მურუსიძე კუბლაშვილის მონა იყო. სასამართლოში რაიმე შეიცვალა? ამიტომ ასეთი სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტი არ არის დამაჯერებელი.

ასეთი სასამართლოს მოსამართლეს უნდა ვკითხოთ, რა უფლებით გამოსცა ასეთი განჩინება? რატომ არ განიხილავს, რა რეალური მტკიცებულებები აქვს საგამოძიებო ორგანოს? რადიკალური სასამართლო რეფორმა არ ჩატარებულა. მიხეილ სააკაშვილის დროინდელი სასამართლო სისტემა დარჩა, რაც სამწუხარო რეალობაა.

სპეცოპერაციიდან ორი წლის განმავლობაში ვერ გამოავლინეს თემირლან მაჩალიკაშვილის კავშირები და რაიმე ქმედებები. საქმე იმიტომ დაიხურა, ვერ შეგროვდა მტკიცებულებები. ფაქტობრივად, ადამიანი უდანაშაულოდ გამოცხადდა. ჩემთვის მთავარი ეს არის. მაშინ იმ ოპერაციის დროს დაკავებული 5 ადამიანი რატომ არ არის გათავისუფლებული.

არ აქვს მნიშვნელობა, ადამიანი ცოცხალია თუ მკვდარი, თუ ამ ადამიანის მიმართ ხელშესახები და რეალური ფაქტები, მტკიცებულებები იქნებოდა, უშუალოდ გამოძიების პერიოდში და შემდეგ დადასტურდებოდა, ბრალდება მაინც წაეყენებოდა.

ტერორიზმი არის საერთაშორისო დონის დანაშაული. მას არ ეხება ხანდაზმულობის ვადის გამო ჩამოწერა. არავითარი დანდობა და ჰუმანურობა ასეთი ბრალის შემთხვევაში, არ არსებობს,

– ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ გაუშვა სიუჟეტი, სადაც საუბარი იყო ჩატაევის ჯგუფისთვის ფინანსურ საკითხებში დახმარებასა და სატელეფონო თუ ფეისბუქმიმოწერებზე.

– დავანებოთ თავი პროპაგანდისტული და სააგიტაციო ტელევიზიების მიერ გავრცელებულ ამბებს.

– ყოველ შემთხვევაში, საინტერესოა, როგორ გავიდნენ მაჩალიკაშვილზე. არანაირი მტკიცებულება არ იყო და ისე მიადგნენ დასაპატიმრებლად?

– მტკიცებულებას ავლენს პროკურატურა. როცა არის უტყუარი მტკიცებულებები, პროკურატურა მას აძლევს კვალიფიკაციას, ხოლო სასამართლო ამ მტკიცებულებებს ადასტურებს. პროპაგანდისტული ტელევიზიები რას გაავრცელებენ, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს და არაფერს წარმოადგენს სპეციალისტებისთვის. მთავარია, პროკურატურამ საქმე შეწყვიტა, რადგან თემირლან მაჩალიკაშვილს არ დაუდასტურდა ტერორიზმთან რაიმე პირდაპირი კავშირი.

– მაშინ მაინცდამაინც მაჩალიკაშვილამდე რატომ მივიდნენ? როგორ გაჩნდა მაჩალიკაშვილი საერთაშორისო ტერორიზმში ბრალდებული ჩატაევისა და სხვათა სისხლის სამართლის საქმეში?

– არ ვიცი. შეიძლება წინასწარი მონაცემები, ვარაუდი, ან ჰიპოთეზა არსებობდა. ტერორიზმი არის ისეთი დანაშაული, ჰიპოთეზაც თუ არსებობს, გამოვლენა, დაკავება ხორციელდება ან პრევენციული ზომები მიიღება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ გამოძიება ჩატარდა და საქმე დაიხურა. საქმეში საერთაშორისო დონის სპეციალისტები რომ იქნებოდნენ ჩარეული, ეჭვი არ მეპარება.

რადგან ჩატაევი საერთაშორისო დონის ტერორისტს წარმოადგენდა. ის იყო ისლამური სახალიფოს ერთ-ერთი გავლენიანი სპეცსამსახურის უფროსის მოადგილე. მისი თანმხლები პირები ასევე ისლამურ სახალიფოსთან იყვნენ დაკავშირებული. ისლამურ სახალიფოს ებრძვის არა მხოლოდ საქართველო, არამედ სამი კოალიცია.

აქედან გამომდინარე, ამ გამოძიებაში აუცილებლად იქნებოდნენ ჩარეული ჩვენი სტრატეგიული მეგობრები და, ბუნებრივია, ამ ორი წლის განმავლობაში გამოძიებამ დაადგინა გარემოებები და საქმე დახურა. პროკურატურამ ბრალიც კი არ წაუყენა თემირლან მაჩალიკაშვილს. უნდა გამოძიებულიყო, როგორ პირობებში და რა ვითარებაში დაიღუპა თემირლან მაჩალიკაშვილი.

– რა შეიძლება მომხდარიყო?

– შეიძლება სპეცდანიშნულების რაზმის მიერ გადაცდომა მოხდა. რაც მთავარია, ამაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმას, ვინ ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ გამოძიება დასრულდა ისე, რომ მტკიცებულებები და ბრალდება თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ არ დადებულა.

მე სამართლებრივ ჯაჭვს მივყვები, ის მტკიცებულებები, რასაც ტელევიზიები ავრცელებენ, შეიძლება სასამართლოს არც კი მიეღო.

– ისე, მაჩალიკაშვილმა განაცხადა, რომ ჩეჩნებსა და ქისტებს იმდენად მჭიდრო ურთიერთობები აქვთ, რომ ისინი არ ერიდებიან ერთმანეთთან ურთიერთობებს, მიუხედავად იმისა, პირი ტერორიზმშია ეჭვმიტანილი თუ არა. მაჩალიკაშვილს, მგონი, არც ის უარუყვია, რომ მათ ჰქონდათ ურთიერთობები ჩატაევთან. შეიძლება გამოძიება ამის გამო დაინტერესდა.

– კონტაქტები შეიძლება ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერ მეორე ადამიანთან ჰქონდეს, მაგრამ დამნაშავე არ აღმოჩნდეს. შეიძლება მაჩალიკაშვილს ჰქონოდა კონტაქტები ჩატაევის თანმხლებ პირებთან. ის ორი ადამიანი სავსებით ლეგალურად იყო შემოსული და სრულ კომფორტში ცხოვრობდა. ისინი საკუთარ სახელსაც კი არ მალავდნენ. იგივე კამერების წინ. ჩვენ ეს ვნახეთ. მათ ჰქონდათ სრულიად ლეგალური დოკუმენტები. მაშინ პასუხი მოვთხოვოთ იმდროინდელ სპეცსამსახურებს, როგორ მოახდინეს ისე, რომ ეს ორი ადამიანი სამი თვის განმავლობაში თავისუფლად დაიარებოდა დედაქალაქში.

ასე ერთ-ერთმა პროპაგანდისტულმა ტელევიზიამ ლამის მოღალატეობა დამაბრალა, როდესაც სპეციალისტმა, 2016 წელს განვაცხადე, რომ საქართველო შეიძლება გამხდარიყო შავი დერეფანი ქვეყანა, ანუ ტერორისტების გადაადგილების მნიშვნელოვანი არტერია. ჩემმა ორმა მეგობარმა პარლამენტარმა ჩემი შეშფოთება გაიზიარა. ორმა ბრიტანელმა პარლამენტარმა ევროპარლამენტში ეს საკითხი დააყენა იმის გამო, რომ საქართველოსთვის ეს პრობლემა აეცილებინათ.

ზუსტად 8 თვეში აღმოჩნდა, რომ მე და ევროპარლამენტარები აბსოლუტურად მართლები აღმოვჩნდით.

– ის მონაცემები, რაც არსებობდა – ფოტოები ტერორისტებთან და გარკვეულ სხვა პირებთან სატელეფონო საუბრები, მესიჯები – გადამოწმებას მაინც თუ ექვემდებარებოდა?

– რა თქმა უნდა. ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა გამოძიება. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ გამოძიებაში ჩართული იყვნენ საერთაშორისო დონის სპეციალისტები. ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა. ორი წლის განმავლობაში დადასტურდა, რომ მაჩალიკაშვილს არავითარი კავშირი არ აქვს ტერორიზმთან. ეს არის ფაქტი.

– მნიშვნელოვანია ამას როგორ შეხვდება მალხაზ მაჩალიკაშვილი.

– აქ მნიშვნელოვანია, რა ვითარებაში მოხდა თემირლან მაჩალიკაშვილის ლიკვიდაცია. მალხაზ მაჩალიკაშვილი, ალბათ, საქმის გამოძიებას მოითხოვს.

ზაზა სარალიძე: „მე წლებს არ ვითვლი, თუ უნდათ, ყველა დღესვე გამოუშვან, მთავარია, ამ საქმეზე სიმართლე დადგინდეს“

– მე წლებს არ ვითვლი, არ მაინტერესებს. თუ უნდათ, ყველა დღესვე გამოუშვან, მთავარია, ამ საქმეზე სიმართლე დადგინდეს.

ამის შესახებ 2020 ნიუსს ხორავას ქუჩაზე მოკლული დავით სარალიძის მამამ, ზაზა სარალიძემ განუცხადა.

– მე წლებს არ ვითვლი. არც ერთ ეტაპზე კანონი მე არ შემკითხვია, ამდენ წელს ვაძლევ და გაკმაყოფილებს თუ არაო. ახლა, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, რატომ შემეკითხებიან შევუმსუბუქოთ თუ არა სასჯელიო?! როცა მიუსაჯეს, მაშინ მკითხა მე კანონმა, ამდენი წელი უნდა მივუსაჯო და გაკმაყოფილებს თუ არაო, მკითხა?! – ხომ არ უკითხავს? ახლა რატომ უნდა მკითხოს?! მე წლებს არ ვითვლი, არ მაინტერესებს. თუ უნდათ, სულ ყველა დღესვე გამოუშვან, მთავარია, ამ საქმეზე სიმართლე დადგინდეს, – განაცხადა სარალიძემ.

28 იანვარს უზენაესმა სასამართლოს ხორავას ქუჩის საქმეზე მსჯავრდებულების გუგა ბარბაქაძისა და გიორგი ჯანაშიას მიმართ გადაწყვეტილება მიიღო.

ქვეყნის მართლმსაჯულების უმაღლესმა ინსტანციამ ლევან დადუნაშვილის მკვლელობისთვის მსჯავრდებული გუგა ბარბაქაძის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში დატოვა, ხოლო მსჯავრდებულ გიორგი ჯანაშიას საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს.

ბარბაქაძეს 11 წლითა და 3 თვით პატიმრობა აქვს შეფარდებული. ამასთან, უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა ბარბაქაძისთვის დავით სარალიძის მკვლელობის ნაწილში სასჯელის დამძიმების შესახებ. მას მხოლოდ ლევან დადუნაშვილის მკვლელობის ბრალი დაუდგინდა.

დავით სარალიძის ჯგუფურად მკვლელობისთვის მსჯავრდებულ გიორგი ჯანაშიას, ბრალის აღიარებისა და თანამშრომლობის სანაცვლოდ, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება, რომელიც საბოლოოდ 4 წლის ვადით პირობით და 4 წლის ვადით რეალურ სასჯელს გულისხმობს.

ის მოსამართლეთა კოლეგიამ დამნაშავედ ცნო.

სასჯელის ვადა ჯანაშიას დაკავების დღიდან აითვლება.

მოსამართლე ქეთევან ჯაჭვაძემ ბუტა რობაქიძის საქმეზე ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობაში დატოვა



გუშინ, 29 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ქეთევან ჯაჭვაძემ ბუტა რობაქიძის საქმეზე შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობაში დატოვა.

როგორც მოსამართლემ განმარტა, კანონმდებლობით სავალდებულოა, რომ სასამართლომ პირველ წინასასამართლო სხდომაზე ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლა ან გაუქმება განიხილოს. მისი თქმით, საქმეში არ გამოკვეთილა ახალი გარემოებები, რაც აღკვეთის ღონისძიების შეცვლას გამოიწვევდა, შესაბამისად, ის პატიმრობაში რჩება.

რაც შეეხება მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხის განხილვას, სხდომის დასაწყისში ოქრუაშვილის ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა განაცხადა, რომ ის დღეს ვერ დაიცავდა ოქრუაშვილის ინტერესებს და სურდა პროცესის გადადება, ამ განცხადების შემდეგ მან დარბაზი დატოვა.

ვინაიდან სხდომას თავად ოქრუაშვილი და მისი ადვოკატი არ ესწრებოდნენ, მოსამართლემ პროცესი გადადო და მხარეებმა მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი გუშინ ვერ განიხილეს.

სხდომა 10 თებერვალს, 11:30 საათზე გაიმართება.

ბუტა რობაქიძის და მასთან ერთად ავტომანქანაში მყოფი პირების მიმართ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის და ყოფილი გენერალური პროკურორს ზურაბ ადეიშვილს ბრალი პროკურატურამ 19 ნოემბერს წაუყენა ბრალი. 22 ნოემბერს კი საქალაქო სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა.

ვახტანგ რობაქიძეს ქვეყნიდან გასვლის უფლება ჩამოართვეს

დეპუტატ ანრი ოხანაშვილის საქმეზე ბრალდებულ ვახტანგ რობაქიძეს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქვეყნიდან გასვლის უფლება ჩამოერთვა.

როგორც რობაქიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, სასამართლო პროცესი მისი დასწრების გარეშე ჩატარდა და გადაწყვეტილება ტელეფონით შეატყობინეს.

რობაქიძის თქმით, მისმა ადვოკატმა სასამართლოს გადაწყვეტილება ქვეყნიდან გასვლის უფლების ჩამორთმევის თაობაზე უკვე გასაჩივრა, თუმცა დადებით შედეგს არ ელის.

– ბორჯომის სასამართლოდან დამირეკეს და მითხრეს, რომ პროკურატურის შუამდგომლობით, ჩემი დასწრების გარეშე ჩატარდა სასამართლო პროცესი და მე ჩამომერთვა ქვეყნიდან გასვლის უფლება. როგორც მითხრეს, საზღვარგარეთ გასვლის უფლება ჩამომერთვა იმის გამო, რომ გამოძიებას არ მივემალო.

ჩემმა ადვოკატმა უკვე გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება, მაგრამ აზრი არ აქვს, ერთი სისტემაა ეს ყველაფერი. მე ახალციხის სასამართლოს გადაწყვეტილებაც გავასაჩივრე სააპელაციო სასამართლოში, 7 ათას ლარიან გირაოზე, თუმცა სააპელაციოში ჩათვალეს, რომ საჩივარში მოყვანილი არგუმენტები არ იყო დამაკმაყოფილებელი და დატოვეს ახალციხის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში, – განაცხადა ვახტანგ რობაქიძემ.

დეპუტატი ანრი ოხანაშვილი ბაკურიანში, ერთ-ერთ რესტორანში ოჯახთან ერთად ვახშმობდა, როდესაც ვახტანგ რობაქიძესა და ოხანაშვილს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა.

რობაქიძე სამართალდამცავებმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით დააკავეს, რაც პოლიციისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს. მას 3-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა.

ამასთან, ვახტანგ რობაქიძეს ანრი ოხანაშვილის საქმეზე ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე და 239-ე მუხლებით წარუდგინეს, რაც მუქარასა და ხულიგნობას გულისხმობს.

19 იანვარს ვახტანგ რობაქიძეს ახალციხის რაიონულმა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით 7.000 ლარიანი გირაო შეუფარდა.

გომელაური საპატრულო პოლიციის ცენტრში მოქალაქეებსა და თანამშრომლებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრი მოინახულა. მინისტრმა ცენტრში მოქალაქეთათვის განკუთვნილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მომსახურების სივრცე, შიდა ოპერაციების ახლად შექმნილი განყოფილება და საპატრულო პოლიციის საინფორმაციო სატელეფონო ცენტრი დაათვალიერა.

ვახტანგ გომელაური ცენტრში მოსულ მოქალაქეებს პირადად გაესაუბრა. მინისტრი 50-მდე საპოლიციო სერვისის მიწოდების პროცესს გაეცნო და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელებს ცენტრის თანამშრომლების სამუშაო პირობების გაუმჯობესების შესახებ შესაბამისი რეკომენდაციები და მითითებები მისცა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერთიანი მომსახურების ცენტრის კონცეფციის დანერგვა 2018 წლიდან, სისტემური განახლების ფარგლებში დაიწყო. გახსნის დღიდან ცენტრი 500.000-მდე მოქალაქეს მოემსახურა, საინფორმაციო სატელეფონო ცენტრმა კი 250.000-მდე ზარს უპასუხა.

გასულ წელს ერთიანი მომსახურების ცენტრი ქვემო ქართლის რეგიონში, ქალაქ რუსთავში გაიხსნა, სადაც მოქალაქეებს საპოლიციო სერვისები ასევე „ერთი სარკმლის“ პრინციპით მიეწოდებათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია ქვეყნის მასშტაბით ერთიანი მომსახურების სტანდარტის დანერგვა, რომ მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდეს, დროის ნაკლები დანახარჯით, კომფორტულ გარემოში მიიღოს სამინისტროს მიერ შეთავაზებული სხვადასხვა საპოლიციო მომსახურება.

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში. ☎ **599-73-48-21; 598-73-48-21.**

რუსთავში 17 წლის ნინი წიკლაურმა თავი მოიკლა

ის მე-9 სართულიდან გადახტა

28 იანვარს რუსთავში, მესხიშვილის ქუჩაზე, ახალგაზრდა ქალის ცხედარი ნახეს.

მოგვიანებით გაირკვა, რომ გარდაცვლილი გოგონა 17 წლის ნინი წიკლაურია.

გოგონა მე-12 კლასელი იყო და მე-7 საჯარო სკოლაში სწავლობდა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ნინის ოჯახი თბილისის ქუჩაზე ცხოვრობს, როგორ მოხვდა ის მესხიშვილის ქუჩაზე, უცნობია.

გოგონა ცხრასართულიანი შენობის სახურავზე ავიდა და სუიციდამდე წერილი დაწერა. „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, წერილში მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ეწერა – გოგონა ოჯახის წევრებს დაემშვიდობა და საკუთარი პირადი ნივთები სახურავზე დატოვა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები.

რუსთავში ცოლ-ქმარი გაზით გაიგუდა



რუსთავში გაზით 2 ადამიანი გაიგუდა.

უბედური შემთხვევა ლეონიძის ქუჩაზე მოხდა, 54 და 58 წლის მშობლები ბუნებრივი აირის ნამწვით გაგუდულები შვილმა ნახა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ახალგაზრდა ქალი სხვა ოთახში იმყოფებოდა, დილით კი მშობლები გარდაცვლილები დახვდა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები.

ოჯახს, სადაც ცოლ-ქმარი გარდაიცვალა, გაზის მიწოდება დარღვევების გამო შეწყვეტილი ჰქონდა და აკრძალული დანადგარები თვითნებურად დააერთეს.

ამის შესახებ განცხადება „სოკარ ჯორჯია გაზის“ რუსთავის სერვის ცენტრის მენეჯერმა განაცხადა.

– გვაქვს სათანადო აქტი, დოკუმენტი, სადაც წერია, რომ იქ გაზის მიწოდება შეწყვეტილია, არასწორად არის დამონტაჟებული და სიცოცხლისთვის არის სახიფათო. მაგრამ თვითნებურად აქვთ მიერთებული და განაგრძობდნენ ხმარებას, – განაცხადა გელა წერეთელმა.

პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

დაკავებულია 1 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისის აეროპორტში ერთი პირი დააკავეს. 1990 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ ა.ც.-ს ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და საქართველოში უკანონოდ შემოტანაში ედება.

ჩადენილი დანაშაული 6-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 508 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსი“ და 3 აბი „მეტადონი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა აღნიშნული ნარკოტიკები თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში უკანონოდ შემოიტანა.

ა.ც. ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და საქართველოში უკანონოდ შემოტანას გულისხმობს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

„შეიქმნება პალესტინის სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იერუსალიმში მდებარე აბუ-დისი იქნება“

ტრამპმა ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო გეგმა წარადგინა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში, ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსთან ერთად, ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო გეგმა წარადგინა.

ტრამპის ინიციატივა ითვალისწინებს პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, რომლის დედაქალაქი აღმოსავლეთ იერუსალიმში მდებარე აბუ-დისი იქნება, სადაც აშშ თავის საელჩოს გახსნის.

ამასთან, გეგმა იერუსალიმს ისრაელის განუყოფელ დედაქალაქად აღიარებს და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ებრაული დასახლებების სუვერენიტეტს უჭერს მხარს.

ტრამპის მიერ შეთავაზებული სამშვიდობო გეგმა მოიცავს კონცეპტუალურ რუკას, რომელზეც, აშშ-ის პრეზიდენტის განმარტებით, აღნიშნულია ტერიტორია, რომლის დათმობასაც ისრაელი გეგმავს.

დონალდ ტრამპი აცხადებს, რომ, რუკის მიხედვით, პალესტინის ტერიტორია ორმაგდება.

ტრამპი პალესტინელებს ოთხწლიან ვადას უწესებს, რომლის დროსაც ისინი ისრაელთან უსაფრთხოების საკითხებზე უნდა შეთანხმდნენ, ისლამისტური დაჯგუფება „ჰამასის“ მიერ თავდასხმები შეაჩერონ და პალესტინის სახელმწიფოს ჩამოყალიბების მიზნით მმართველი ინსტიტუტები შექმნან.

აშშ-ის პრეზიდენტის ინფორმაციით, მან პალესტინის ლიდერს მაჰმუდ აბასს წერილი გაუგზავნა და სთხოვა, გეგმა შეესწავლა.

– მე მას ავუხსენი, რომ მისი ახალი სახელმწიფოსთვის გამოყოფილი ტერიტორია ოთხი წლის განმავლობაში ღია და ხელშეუხები დარჩება. ამ დროის მანძილზე პალესტინელებს შეუძლიათ, მთელის სიფრთხილით შეისწავლონ გარიგების პირობები, მოელაპარაკონ ისრაელს, მიაღწიონ სახელმწიფოებრიობისთვის საჭირო კრიტერიუმებს და გახდნენ მართლაც დამოუკიდებელი და საუცხოო სახელმწიფო, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

ისრაელის ოფიციალური პირების განცხადებით, ნეთანიაჰუ მოსკოვში ჩავა და ტრამპის შეთავაზებებს ვლადიმერ პუტინთან შეხვედრაზე განიხილავს.

პალესტინის ლიდერმა მაჰმუდ აბასმა გეგმას საუკუნის სილის გაწვნა უწოდა.

– მივმართავ ტრამპსა და ნეთანიაჰუს: იერუსალიმი არ იყიდება, ჩვენი უფლებები არ იყიდება, – განაცხადა აბასმა სატელევიზიო მიმართვის დროს.

მაჰმუდ აბასის თქმით, პალესტინელი ხალხისთვის მიუღებელია სახელმწიფო იერუსალიმის გარეშე და ისინი ტრამპის გეგმას ისტორიის სანაგვეში მოისვრიან.

ტრამპის გეგმას მსოფლიო ლიდერები არაერთგვაროვნად გამოეხმაურნენ.

ირანის პრეზიდენტის პრესსპიკერის განცხადებით, ეს არის გარიგება სიონისტურ რეჟიმსა და ამერიკას შორის. ეს არ არის სამშვიდობო გეგმა, ეს გაცურებისა და სანქციების გეგმაა.

იორდანიაში პალესტინის მიწების ანექსიაზე საუბრობენ. საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ისრაელის ცალმხრივ ზომებს სახიფათო შედეგები მოჰყვება. ამასთან, სამეფოში ასობით ადამიანი ამერიკის საელჩოსთან შეიკრიბა, სადაც დემონსტრანტები შემდეგ სიტყვებს სკანდირებდნენ:

– არა ნორმალიზაციას, ჩვენ არ ვაღიარებთ ისრაელს!

კომენტარები გაკეთდა ეგვიპტეშიც. ოფიციალური კაირო ისრაელსა და პალესტინას მოუწოდებს, ყურადღებით შეისწავლონ აღნიშნული გეგმა, რომელიც მხარს უჭერს პალესტინელი ხალხის კანონიერ უფლებებს ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიებზე.

ტრამპის „საუკუნის გარიგება“ გააკრიტიკეს თურქეთში. ანკარაში აცხადებენ, რომ ისინი არ დაუჭერენ მხარს ისეთ გეგმას, რომელიც პალესტინისთვის მიუღებელი იქნება. მათი თქმით, იერუსალიმი წითელი ხაზია, რომელიც არ უნდა გადაიკვეთოს. განცხადება გააკრიტიკა სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ლიდერმაც: „არა, ტრამპ! იერუსალიმი პალესტინის სახელმწიფოს დედაქალაქია და ის ისლამური სამყაროს გულია“, – წერს ნუმან კურტულმუსი.

პალესტინას მხარდაჭერა გამოუცხადეს საუდის არაბეთმა და იემენმაც.

რაც შეეხება დასავლეთის ქვეყნებს, დიდი ბრიტანეთის პრემიერის, ბორის ჯონსონის პრესსპიკერის ინფორმაციით, დონალდ ტრამპის გეგმა პოზიტიური და წინგადადგმული ნაბიჯია. გეგმას მიესალმა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრიც.

განცხადება გააკეთეს გაეროშიც.

– გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კვლავაც აფიქსირებს მხარდაჭერას, დაეხმაროს პალესტინელებს და ისრაელს, რომ კონფლიქტის მოგვარება მოახდინონ გაეროს რეზოლუციების, საერთაშორისო სამართლისა და ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე და გააცნობიერონ ორი სახელმწიფოს ხედვა – ისრაელის და პალესტინის – რომლებიც გვერდიგვერდ მშვიდობიანად იცხოვრებენ, – ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

ერდოღანი: „რუსეთმა პოზიცია უნდა შეცვალოს“

ანკარას მოთმინება იწურება, – ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა ბაშარ ალ ასადის რეჟიმის მიერ იდლიბზე განხორციელებული თავდასხმების კომენტირებისას განაცხადა.

მისი თქმით, თურქეთი დამატებით ზომებს მიიღებს.

– სამწუხაროდ, რუსეთი არ ემორჩილება ასტანისა და სოჭის შეთანხმებებს. ჩვენ აქამდე ვიცდიდით, მაგრამ დღეიდან ჩვენც ვიმოქმედებთ. ეს მუქარა არ არის, თუმცა, მოლოდინი გვაქვს, რომ რუსეთი რეჟიმს სათანადო გაფრთხილებას მისცემს, – განაცხადა ერდოღანმა.

მან რუსეთს დამოკიდებულების შეცვლისკენაც მოუწოდა.

– რუსეთმა პროცესი სხვაგვარად უნდა განაგრძოს. ისინი გვეუბნებიან, რომ ტერორისტებს ებრძვიან. ვინ არიან ტერორისტები? ის ადამიანები, ვინც თავიანთ მიწებს იცავენ? – დასძინა პრეზიდენტმა.

სირიის სამთავრობო ძალები, რუსული ავიაციის დახმარებით, ქვეყანაში მეამბოხეთა უკანასკნელი გამაგრების ადგილს, იდლიბს უტევენ. ადამიანის უფლებების ობსერვატორიის ცნობით, იდლიბის მიმდებარე ტერიტორიების დიდი ნაწილი უკვე სამთავრობო ძალების ხელშია.

კუბასთან მიწისძვრა მოხდა

ბიძგები აშშ-ის ფლორიდის შტატშიც იგრძნობოდა

28 იანვარს კუბის სამხრეთით და იამაიკის ჩრდილო-დასავლეთით 7,7 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა.

სტიქიის ეპიცენტრი 10 კილომეტრის სიღრმეში მდებარეობდა.

მიწისძვრა ფლორიდის შტატშიც იგრძნობოდა. ამერიკული მედია მიწისძვრის დროს მაიამიში გადაღებულ კადრებს ავრცელებს, სადაც რამდენიმე შენობიდან მოქალაქეების ევაკუაცია მოხდა.

სტიქიის შემდეგ იამაიკაზე, კუბასა და კაიმანის კუნძულებზე მოსალოდნელი ცუნამის შესახებ გამაფრთხილებელი სირენები ჩაირთო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სიძის და პატარძლის მშობლები გაიპარნენ და შვილებს ქორწილი ჩაუშალეს

ინდოეთის გუჯარათის შტატის ქალაქ სურატში სიძეს და პატარძალს საკუთარი ქორწილის გადადება მას შემდეგ მოუხდათ, როდესაც სიძის მამა და პატარძლის დედა ერთად გაიპარნენ.

სიძის მამა და პატარძლის დედა დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ და თითქოსდა მცირე ხნის განმავლობაში ერთმანეთსაც ხვდებოდნენ. ოდესღაც მათ გაპარვაც სცადეს, მაგრამ მათი გეგმა ქალის ნათესავებმა ჩაშალეს, რომლებმაც ის მდიდარ ალმასებით მოვაჭრეზე გაათხოვეს.

შვილების ქორწილამდე, რომელიც თებერვლის მეორე კვირისთვის იყო დანიშნული, 48 წლის ბიზნესმენი მამაკაცი და 46 წლის დიასახლისი ქალი გაუჩინარდნენ. სავარაუდოდ, მათ გადაწყვიტეს საკუთარი ურთიერთობისთვის მეორე შანსი მიეცათ და ჩუმად გაიპარნენ.

ბოლოს ისინი იანვრის შუა რიცხვებში საკუთარ სახლებში ნახეს. მათმა ნათესავებმა პოლიციაში განცხადება შეიტანეს მათი გაუჩინარების თაობაზე.

ასე რომ, ახლა მათი შვილები უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათ ქორწილის იმ დრომდე გადადება მოუხდათ, სანამ მათი მშობლების ურთიერთობაზე მეტ ინფორმაციას მიიღებენ.

ჩაძირული „ტიტანიკიდან“ არტეფაქტების ამოტანას აპირებენ



ამერიკული კომპანია RMS Titanic Inc-ი 1912 წელს ჩაძირული ტიტანიკიდან რადიოგადამცემის ამოტანას გეგმავს, რომლითაც ხომალდიდან უბედურების სიგნალი გაიგზავნა.

შეგახსენებთ, რომ „ტიტანიკის“ ნამსხვრევებს 1985 წელს მიაკვლიეს. ისინი კანადის კუნძულ ნიუფაუნდლენიდან 650 კილომეტრში ოთხი კილომეტრის სიღრმეზე მდებარეობს. 1987 წლიდან მოყოლებული, RMS Titanic Inc-მა ოკეანის ფსკერიდან 5,5 ათასამდე სხვადასხვა ნივთი ამოიტანა, მათ შორის ფაიფური, ქუდები, საიუველირო ნაკეთობები და ხომალდის ფრაგმენტები. ეს ყველაფერი ჩაძირული ხომალდის გარშემო იყო მიმოფანტული. ხოლო მისი შიგნიდან ობიექტის გამოტანას პირველად შეეცდებიან.

ერთ-ერთი გამოცემისთვის ახალი დაგეგმილი ექსპედიციის შესახებ იმ საბუთებიდან გახდა ცნობილი, რომელიც კომპანიამ აშშ-ის ვირჯინიის შტატის საოლქო სასამართლოში გადაგზავნა. თუ სასამართლო აღნიშნულ მიმართვას დააკმაყოფილებს, კომპანია ფასდაუდებელი არტეფაქტის ამოღების ოპერაციას წელსვე დაიწყებს.

კომპანია „ტიტანიკის“ რადიოგადამცემის ლას-ვეგასის კაზინო ლუქსორში გამოფენას აპირებს, მოგვიანებით კი მსოფლიო ტურნეს გამართვაც იგეგმება. კომპანია არც იმას გამორიცხავს, რომ მოწყობილობის შეკეთებაც მოხერხდეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ლეო მესი: „ახლა გოლებზე ნაკლებად ვფიქრობ“

ბარსელონას თავდამსხმელ ლიონელ მესის პრესასთან ურთიერთობა დიდად არ უყვარს. თუმცა, სადღეისოდ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია საინტერესოა.

მესიმ ამჯერად „გარისკა“ და ლა ლიგის ვებგვერდის ჟურნალისტთან ისაუბრა და საკმაოდ საინტერესო ინტერვიუც გამოვიდა. მესი სხვადასხვა საკითხებს შეეხო, თუმცა ძირითადად საკუთარ თავსა და კარიერაზე ისაუბრა.

არგენტინელმა ასევე განაცხადა, რომ კრიშტიანუ რონალდუსთან დაპირისპირება განსაკუთრებული იყო და ელ კლასიკომ პორტუგალიელის გარეშე გარკვეული ხიბლი დაკარგა.

– მსოფლიოში საუკეთესო დრიბლიორად ითვლებით. ყველაზე მეტად ვისთან გაგიჭირდათ თამაში?

– მეტოქის მოტყუება ჩემთვის ძნელი არაა, მაგრამ უკვე იცით, რომ ცუდი მატჩებიც არსებობს. ყველაზე მეტად ვისი მოტყუება გამიჭირდა? არ მახსოვს, რეალურად... აჰ, პაბლო მაფეოს, რომელიც ხირონაში თამაშობდა. დიახ, ის იყო, ძალიან გამიძნელდა.

– ხშირად თქვენ წინააღმდეგ უხეშად თამაშობენ, მაგრამ წყობიდან არ გამოდიხართ. როგორ ფიქრობთ, უხეშობა თამაშის ნაწილია?

– უხეშობასა და ფეხებში ჩარტყმაზე არასდროს მაქვს პრეტენზია. ვფიქრობ, ფიზიკური კონტაქტი და ჩარტყმა თამაშის შემადგენელი ნაწილია. უფრო მეტად მაშინ ვბრაზდები, როდესაც ცუდად ვთამაშობ. მაგრამ თუ ასე არაა, ეს პრობლემაც არაა, თამაშის ნაწილია და ცუდად არ ვიღებ.

– ესპანეთის ჩემპიონატში ყველაზე დიდი ინტრიგა თქვენი და კრიშტიანუ რონალდუს დუელი იყო. პორტუგალიელი უკვე იტალიაში აგრძელებს კარიერას. გაქვთ ნოსტალგია?

– რონალდუსთან დაპირისპირება განსაკუთრებული დუელი იყო და ყოველთვის ასე დარჩება, რადგან წლების განმავლობაში გრძელდებოდა და დიდი ხნის მანძილზე ამის შენარჩუნება ადვილი არაა. გარდა ამისა, გუნდები, სადაც ჩვენ ვთამაშობდით, ძალიან მოთხოვნადი იყო, როგორც რეალი, ასევე ბარსა, 2 საუკეთესო გუნდია. ამდენი წლის განმავლობაში თანაბრად კონკურენციას უწევენ ერთმანეთს და მჯერა, რომ ეს სამუდამოდ ასე იქნება.

ჩემსა და რონალდუს შორის სპორტული დუელი ძალიან ლამაზი იყო და ვფიქრობ, რომ ხალხიც ერთობოდა, სიამოვნებას იღებდა, როგორც მადრიდელები, ისე ბარსას ქომაგები და ზოგადად, ფეხბურთის მოყვარულები. აშკარაა, რომ როდესაც რონალდუ რეალში იყო, მატჩები უფრო განსაკუთრებული იყო. რეალთან ყოველთვის ასეთი თამაშებია, მაგრამ კრიშტიანუსთან ერთად გაცილებით განსაკუთრებული იყო. მაგრამ ეს ეტაპი უკვე წარსულია, რომელიც გამოვიარეთ და ახლა წინ ვიყურებით.

– ლა ლიგის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი ხართ. ეს მოტივაციას ხომ არ გაკლებთ?

– ვფიქრობ, ლა ლიგაში გოლების რეკორდი ძალიან მნიშვნელოვანია და ბევრს ნიშნავს. ამ ჩემპიონატში ბევრი არაჩვეულებრივი ფეხბურთელი ყოფილა, ჩემპიონატიც მსოფლიოში საუკეთესოა და ასეთი ლიგის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირობა, განსაკუთრებულია. მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი საუკეთესო რეკორდია, რომელიც მე მეკუთვნის. ლა ლიგაში დიდი ხანია ვთამაშობ და არ ვიცი, სხვა თავდამსხმელებს ასე ხანგრძლივი პერიოდით უთამაშიათ თუ არა აქ, მაგრამ ეს ძალიან მეხმარება ბევრი გოლის გატანაში და ჩემთვის საპატიოა ლა ლიგის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირობა.

– არადა, საწყის წლებში გოლის გატანის პრობლემა გქონდათ.

– დიახ, ახალგაზრდულ გუნდში ბევრ გოლს ვერ ვიტანდი, მაგრამ განსაკუთრებით მაშინ გამიჭირდა, როდესაც პირველ გუნდში დამაწინაურეს და პირველი წლები მქონდა დიდ ფეხბურთში. ძალიან მიძნელდებოდა გოლის გატანა, ვცდებოდი ან არ მიმართლებდა...

მახსოვს, ეტოომ მითხრა: დღე, როდესაც გოლების გატანას დაიწყებ, დასასრული იქნება... ეს, იმიტომ მითხრა, რომ მანამდე ბევრი შანსი მქონდა, მაგრამ გოლი ვერაფრით გამქონდა. ერთ დღესაც გავიხსენი და ბურთმა დაიწყო კარის ხაზის გადაკვეთა. ბავშვობაში ყოველთვის ვიტანდი გოლებს როგორც არგენტინაში, ისე ბარსელონას აკადემიაში. პირველ გუნდში კი რამდენიმე წელი დამჭირდა და შემდეგ დავიწყე გატანა.

– ბოლო დროსაც გოლზე ნაკლებად ორიენტირებული ხართ.

– ასეა, ახლა გოლებზე ნაკლებად ვფიქრობ. მე უფრო სიღრმიდან დავიწყე თამაში და უფრო და უფრო ნაკლებად ვფიქრობ გოლებზე. ცხადია, მომწონს გატანა და შანსის გამოყენებას ვცდილობ, მაგრამ ყოველ ჯერზე მოედანზე გოლზე ნაკლებად ვარ კონცენტრირებული. გოლებით შეპყრობილი არც არასდროს ვყოფილვარ. მესმის, რომ ამაზე საუბარი იქნება, როდესაც ხშირად გატანას შევწყვეტ, მაგრამ ეს თამაშის ნაწილია.

უნდა ვიცოდეთ, როგორ მოვერგოთ მომენტებს, საკუთარ დროს და გავაგრძელოთ განვითარება. საუკეთესო უნდა ეძებო როგორც საკუთარი თავისთვის, ისე გუნდისთვის.

– ლა ლიგის ბომბარდირს ბევრი გოლი გაქვთ გატანილი. კონკრეტულად გამორჩეული გოლები თუ გაქვთ?

– მე ყოველთვის ვამბობდი, რომ გოლებს უფრო მნიშვნელობით ვანიჭებ უპირატესობას, ვიდრე სილამაზით. ჩემპიონთა ლიგის ფინალებში მანჩესტერთან გატანილი ორივე გოლი... ასევე ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში რეალთან გოლი სიამოვნებით გასახსენებელია, როგორც გოლი და ასევე თამაში, ეს იყო ნახევარფინალი რეალის წინააღმდეგ...

– ხშირად ადარებენ ერთმანეთს მარადონას გოლს ინგლისთან და მესის გოლს ესპანეთის თასზე 2007 წელს ხეტაფეესთან.

– დიახ, რა თქმა უნდა. ეს გოლი არ იყო ისეთი მნიშვნელოვანია, როგორიც მარადონასი, მაგრამ დინამიკაში ძალიან ჰგავდა იმას, რაც დიეგომ გააკეთა. მატჩების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ გოლებს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ, მაგრამ მოედანზე მოქმედება მსგავსი გახლდათ.

თბილისის დინამო ტოგოელი ფეხბურთელი დაიმატა

თბილისის დინამო? 27 წლის ცენტრალური ნახევარმცველი, ტოგოელი საიმონ ბენიო დაიმატა. მხარეებს შორის 2-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდა.

საიმონი სეგუნდა დივიზიონის მირანდესში გამოდიოდა, მანამდე კი საფრანგეთში დაბადებული ფეხბურთელი ეპინალის და ბეზიეს ღირსებას იცავდა.

ახალწვეული ნახევარმცველი უკვე დინამოელებთანაა და გუნდთან ერთადაც ივარჯიშა.

დინამოელებს თურქულ შეკრებაზე 26 წლის სლოვაკი ფლანგის შემტევი ფილიპ ორშულა შეუერთდა. ფილიპი ბოლოს ტრნავის სპარტაკში თამაშობდა, სხვადასხვა დროს კი მანჩესტერ სიტის, ტვენტეს და უიგანის ახალგაზრდულ გუნდებში გამოდიოდა. შემდეგ ბრატისლავას და ლიბერეცის სლოვანის ღირსებას იცავდა. მასთან დაკავშირებით სამწვრთნელო შტაბი უახლოეს მომავალში მიიღებს გადაწყვეტილებას.

თბილისელებთან ერთად ასევე ვარჯიშობს უკრაინელი ფლანგის მცველი ივან ტრუბოჩკინი. სინჯებზე მყოფი ფეხბურთელი დინამო კიევის აღზრდილია და ბოლოს დონეცკის ოლიმპიკის ღირსებას იცავდა.

ერიქსენი – დირიჟორი ლა სკალაში წარადგინეს

დანიელი ფეხბურთელი კრისტიან ერიქსენი კარიერას მილანის ინტერში გააგრძელებს. ანტონიო კონტეს 28 წლის ნახევარმცველი დირიჟორად სჭირდება. ალბათ, ამიტომაც წარადგინეს ლა სკალაში და არა – სტადიონზე.

ერიქსენმა მილანელებთან ხელშეკრულება 2024 წლამდე გააფორმა და სეზონში 8-10 მილიონს მიიღებს. ფინანსური სხვაობა სხვადასხვა შედეგებიდან გამომდინარეობს.

ერიქსენს მადრიდის რეალთან კონტრაქტთან დაკავშირებით შეთანხმება ჰქონდა, მაგრამ გუნდში ზინედინ ზიდანის მისვლის შემდეგ ეს ვარიანტი დაიბლოკა. ფრანგი სპეციალისტი დანიელი ფეხბურთელის როლს საკუთარი გუნდის შემადგენლობაში ვერ ხედავდა და ფლორენტინო პერესს ამ იდეის დავიწყება ურჩია.

იყო ვარიანტი მანჩესტერ იუნაიტედთან დაკავშირებითაც, მაგრამ ერიქსენს მაშინ ესპანური ვარიანტი უფრო მოსწონდა. ინგლისში ცხოვრება მობეზრებული ჰქონდა და ატმოსფეროს შეცვლა უპირველესი მიზანი იყო.

ტურინის იუვენტუსთან დაკავშირებით არაერთხელ ითქვა, რომ მისი სატრანსფერო მოთხოვნები იუვესთვის არარეალური აღმოჩნდა. თან ბიანკონერი სანდრო ტონალის ვარიანტზე გადაერთო და ფსონი იტალიელზე გააკეთა.

კონტეს ინტერი ყველაზე მეტს დარბის სერია ა-ში, მაგრამ ეს ფაქტი უკვე ნეგატიურად ზემოქმედებს თავად გუნდის შედეგზე – კონტეს ბიჭებმა ქულების კარგვა დაიწყეს.

თავად იუვენტუსიც რომ გავიხსენოთ: აგრესიული პრესინგი მთელს პერიმეტრზე, ფლანგების ჩქაროსნული ჩართვები და 3-5-2, რომელიც ბევრ მოძრაობას საჭიროებს, თვალნათლივ იკვეთებოდა სეზონის მეორე ნახევრისთვის, როდესაც გუნდი ქულებსაც კარგავდა და ევროპულ ასპარეზზე ქანცგაცლილი, უფერული გამოიყურებოდა. ასე იყო ჩელსიშიც... ასეა ახლა ინტერშიც...

ერიქსენი დაალაგებს ამ ყველაფერს? დიახ, მას დიდი სივრცე მიეცემა და ექნება სიღრმეში მოთამაშე ფლეიმეიკერის ფუნქცია.

ვნახოთ...

მანჩესტერის ფანები ვუდვორდის სახლს დაესხნენ

მანჩესტერ იუნაიტედში ბრუნო ფერნანდეშის ტრანსფერი ჩაიშალა. გავრცელებული დეტალების თანახმად, კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა ედ ვუდვორდმა დაახლოებით 10 მილიონის დამატება არ ისურვა, რამაც გამწარებული ფანები კიდევ უფრო გააბრაზა.

„წითელი ეშმაკები“ სერ ალექს ფერგიუსონის წასვლის შემდეგ შოკიდან ვერ გამოდიან, წლევანდელ სეზონში კი ოლე გუნარის თაოსნობით ყველანაირ ანტირეკორდს წერენ, რაც ფანების განრისხებას იწვევს.

შესაბამისად, გულშემატკივრები 1 თებერვალს, ვულვზის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, სტადიონს 58-ე წუთზე მასობრივად დატოვებენ, რაც ვუდვორდისთვის სახეში სილის გაწვნა იქნება.

თუმცა, მანჩესტერ იუნაიტედის გულშემატკივართა ჯგუფი ამას არ დასჯერდა და ვუდვორდს სახლში თავს დაესხა.

სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვიდეო, რომელშიც ჩანს, თუ როგორ მივარდნენ გადაცმული პირები სახლის კარიბჭესთან და ეზოში ცეცხლმოკიდებული პეტარდები გადაყარეს.

– ედ ვუდვორდ, ჩაძაღლდი, – ადგილზე ასეთი შეძახილებიც ისმოდა.

მომხდართან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა იუნაიტედმა. კლუბმა მომხდარი ფაქტი დაგმო და აღნიშნა, რომ ასე მოქცევის უფლება არავის აქვს.

ედ ვუდვორდი „წითელ ეშმაკთა“ დირექტორთა საბჭოში 2005 წლიდან მუშაობს და უკვე წლებია, კლუბის მართვაში მთავარი როლი აქვს. იგი აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე 2012 წლიდან მუშაობს.

შედეგები

28 იანვარი

ფეხბურთი

ოლიმპიადა 2020. შესარჩევი ეტაპი

სამხრეთ ამერიკა

არგენტინა-ეკვადორი 1:0
კოლუმბია-ვენესუელა 2:1

ინგლისი. ღიგის თასი

ასტონ ვილა-ლესტერი 2:1

ინგლისი. ჩემპიონღიგა

ბლექბერნი-ქპრ 2:1
ბრენტფორდი-ნოტინგემი 0:1
კარდიფი-ვესტ ბრომვიჩი 2:1
ლიდსი-მილუოლი 3:2
ლუთონი-დერბი 3:2
უიგანი-უენსდი 2:1
ჰალი-ჰადერსფილდი 1:2
რედინგი-ბრისტოლი 0:1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

არმინია-ბოხუმი 2:0
ვისბადენი-აუე 1:0
ფიურტი-ზ.პაული 3:0
რეგენსბურგი-ჰანოვერი 1:0

ესპანეთი. სამეფო თასი

ტენერიფე-ბილბაო 2:2 (2:4პ)

იტალია. თასი

მილანი-ტორინო ..... 4:2 (დდ)

პორტუგალია. პირველი ღიგა

პორტუ-ჟილ ვისენტე 2:1

ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პირველობა

კაცები

ვავრინკა-ზვერევი 6:1, 3:6, 4:6, 2:6

ქალები

კონტევეიტი-პალეპი 1:6, 1:6
მუგურუზა-პავლუჩენკოვა 7:5, 6:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

შვილები გია და დავითი ღრმა მწუხარებით იუწყებიან მამის

რეზო გიგინეიშვილის

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 30, 31 იანვარს, 17 საათიდან.
დაკრძალვა: 1 თებერვალს, 14 საათზე.
მისამართი: ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი 78(ბ).

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოიღი ბ



შვეულად: 1. კლიმატური კურორტი, ტურისტული ცენტრი ლიეტუვაში; 2. პატიოსანი, მართალი ადამიანი; 3. ტბა თბილისში; 5. დონ-კიხოტის გვარი; 6. ტერიტორიული ერთეული; 7. სიბრძნის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 11. კიევის მერი; 13. ერთმანეთში შეგროვებული ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 14. ავსტრალიური ველური ძაღლი; 15. მეზღვაურთა მაუდის ქურთუკი; 16. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 17. „ფორმულა-1“-ში მოასპარეზე გერმანელი ავტომრბოლელი; 19. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 20. კათოლიკური მღვდელთმსახურება.

თარაზულად: 1. ვრცელი ბალახოვანი უტყეო სივრცე; 4. კომპანია „ტესლას“ დამფუძნებელი; 8. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა. 9. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 10. შეძლებულ გლეხთა სახელწოდება საბჭოთა კავშირში; 12. ბეისბოლის მოთამაშის ამპლუა; 14. ვახტანგ გორგასლის ვაჟიშვილი; 15. ქართული მხატვრული ფილმის „უძინართა მზის“ კინორეჟისორი; 16. ყველაზე წყალუხვი მდინარე აფრიკაში; 18. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 21. უნგრული ღვინო; 22. სპორტული ციგებით შეჯიბრება სწრაფდაშვებაში; 23. ფრანგი კლასიკოსი მწერალი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ლატვია; 2. იუდოფილი; 3. ბროკოლი; 5. შვეიცერი; 7. თავხედი; 9. რევოკაცია; 13. ლიბრეტო; 15. მცხეთა; 16. სტამბა; 18. გრილი.

თარაზულად: 4. ნაკაშიძე; 6. სკუდიერი; 8. კამბეჩოვანი; 10. წახნაგი; 11. ვალი; 12. მდოგვი; 14. ამური; 17. ბასფი; 19. ლხინი; 20. იმბეცილი; 21. არვე; 22. საბურთალო; 23. ვიმპელი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. რთველი; 2. ბანკო; 3. სოკო; 5. ფელბსი; 6. ატოლი; 7. აქსიომა; 11. მესტია; 14. შაორი; 13. გეიმერი; 15. ფილიპსი; 16. ბაღდათი; 17. საღამო; 19. იარდი; 20. გეთი.

თარაზულად: 1. რუბენსი; 4. მორფი; 8. კოქსი; 9. ლელო; 10. ესკიმო; 12. სიმენსი; 14. შატო; 15. ფართინგი; 16. ბროლა; 18. კრიჟი; 21. ღალია; 22. თავთუხი; 23. დემარში.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8999

ევრო — 3.1905

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7731

100 რუსული რუბლი — 4.6063

ამინდის პროგნოზი 30 იანვრისთვის



28 იანვრიდან

ბიბლიური იგავები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ნინო ძოწენიძემ ემიგრანტ დედებს სიმღერა მიუძღვნა

მომღერალმა ნინო ძოწენიძემ ემიგრანტ დედებს სიმღერა მიუძღვნა.

„როგორ დავემდურო ბედს“ – ასე ჰქვია ზურაბ ბოკუჩავას ცნობილ სიმღერას, რომელზეც მომღერალს მეუღლემ გიგა კუხიანიძემ ვიდეორგოლიც გადაუღო.

სიმღერის ავტორი ზურაბ ბოკუჩავაა, ტექსტის ავტორი – მერი ბარნაბიშვილი და გია ნიჟარაძე, ფორტეპიანო – ნიკო ჩარკვიანი, მევიოლინე – გუჯა მარდალეიშვილი.

– პატივისცემით, ქართველ ემიგრანტ დედებს! შვილების ნახვის მოლოდინში გატარებული წლებისთვის! – განაცხადა მომღერალმა.

ვიდეორგოლი ინტერნეტში უკვე გავრცელდა და მას ბევრი მოწონება და გაზიარება აქვს.

თაკო გაჩეჩილაძე დედა მეორედ გახდება

მომღერალი თაკო გაჩეჩილაძე დედა მეორედ გახდება. მას და მის მეუღლეს ბორისლავ მილანოვს ერთი გოგონა გაბრიელა ჰყავთ.

ორსულობის ფოტოები მომღერალმა ინტერნეტში გაავრცელა და ნაცნობებისა და გულშემატკივრების დიდი მოწონება დაიმსახურა. ბევრმა მათგანმა მომღერალს გმირი დედაც კი უწოდა.

ქეთევან კიკნაძე სკოლებში სქესობრივი განათლების დაწესების წინააღმდეგია

მსახიობი ქეთევან კიკნაძე საქართველოს საჯარო სკოლებში სქესობრივი განათლების დაწესების წინააღმდეგია და მიაჩნია, რომ ამ მიმართულების განათლება არავის არაფერში სჭირდება:

– ზოგი გავაღიზიანე, ახლა მე გეკითხებით, იმაზე რატომ არ ღიზიანდებით, როდესაც ლომჯარია ერთსქესიანთა ქორწინებაზე ქადაგებს, როცა სკოლებში თურმე სქესობრივი განათლება დაწესდეს, არ მინდა კიდევ ჩამოვთვალო... ეს არ გაღიზიანებთ, ლომჯარიას დამცველნო?

ადამ და ევადან დაწყებული, სწავლება არ ყოფილა ყოველივე ამის, მაგრამ კაცობრიობამ 8 მილიარდს მიაღწია. გამრავლებას გისურვებთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

30 იანვრისთვის

ვერძი – ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობას ერიდეთ. ეძიეთ შემოსავლის განსხვავებული წყარო. **კურო** – ხელმძღვანელობასთან საკუთარ პრინციპებს ნუ დაიცავთ. ინტუიციას მიენდეთ. თავმდაბლად იმუშავეთ. **ტყუპები** – საოჯახო საქმეების მოწესრიგება დღესვე დაიწყეთ. ერიდეთ კამათს უფროსობასთან. **კირჩხიბი** – ზედმეტ დატვირთვასა და ახალი საქმის დაწყებას ვარსკვლავები გიკრძალავენ. კარგი იქნება, თუ საღამოს ახლო მეგობრებთან ერთად გაატარებთ და მოდუნდებით. **ლომი** – კრიტიკული დღეა. კონტაქტები შეამცირეთ. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **ქალწული** – განმარტოება და სულიერი ძალების მოკრება გჭირდებათ. ბუნების წიაღში გასეირნება და მცირეოდენი ფიზიკური ვარჯიში დადებითად წაგადგებათ. **სასწორი** – პასიური დღეა. დაწყებული საქმის დამთავრება გაგიჭირდებათ. მეგობრების რჩევები გაითვალისწინეთ. **ღრიანკალი** – საკუთარი თავით უკმაყოფილო ხართ. დაშვებული შეცდომები რაც შეიძლება მალე უნდა გამოასწოროთ. **მშვილდოსანი** – შორს გამგზავრებას ერიდეთ. ნერვებს გაუფრთხილდით. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **თხის რქა** – საქმიანი შეხვედრები, ასევე ყოველდღიური სამუშაო დაგაქანცავთ. დრო გამოყავით სულიერი და ფიზიკური ძალების აღსადგენად. **მერწყული** – დღის დადებითი ტენდენციები მძლავრობს. შესაფერისი პერიოდია ახალი ფინანსური გარიგებებისათვის. **თევზები** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისთანავე დაუყოვნებლივ მიმართეთ სპეციალისტს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ტელეფონის ზარია:
– ალო, პოლიციაა?
– დიახ, გისმენთ.
– როგორ შეიძლება ტანკის მართვის მოწმობის აღება?
– ისეირნეთ რამდენიც გინდათ, ვინ გაგაჩერებთ!

●●●

მაღაზიაში მამაკაცს თევზსაჭერი მოწყობილობების ყიდვა სურს და დიდმკერდიან გამყიდველ ქალს ეკითხება:
– უკაცრავად და თქვენი სატყუარები სილიკონისაა?
– მე ყველაფერი ნატურალური მაქვს!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:
– იცი, თურმე კუჭის აშლილობას სტაფილო აჩერებს...
– იმის წარმოდგენაც კი მაშინებს, როგორი მეთოდით...

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:
– ძვირფასო, ნახე, როგორი მშვენიერი ამინდია!
– რას გულისხმობ?
– ერთხელ ხომ მითხარი, რომ ერთ მშვენიერ დღეს დაგშორდებიო...

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:
– მშია, ქალო, მაჭამე რამე.
– კაი, ახლახან არ ჭამე? მოითმინე პაწა.
ცოტა ხნის შემდეგ. ქმარი:
– ქალო, არ მაჭმევ დღეს რამეს?
– სულ ჭამა რავა გინდა. ჯერ მოგშივდებოდა შენ...
– შენი დედაც... მაშინ, რომ მომშივა, დამიძახე...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– ნეტა სიდედრი სადაური სიტყვაა?
– ბერძნულია და ქართულად კიბოს ნიშნავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რაფაელ ნადალი ავსტრალიის ღია პირველობას გამოეთიშა

მსოფლიოს პირველი ჩოგანი რაფაელ ნადალი ავსტრალიის ღია პირველობას გამოეთიშა. ნადალმა მეოთხედფინალში ავსტრიელ დომინიკ ტიმთან წააგო, 6:7, 6:7, 6:4, 6:7.

შეხვედრა ძალიან დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა და ის 4 საათზე მეტხანს გაგრძელდა. ნადალი პირველ და მეორე სეტებში ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ ტიმმა გადამწყვეტ მომენტებში უკეთესად ითამაშა.

ამ წაგების შემდეგ ნადალმა შესაძლოა რეიტინგში პირველი ადგილი დაკარგოს, თუ ნოვაკ ჯოკოვიჩი ტურნირის მოგებას შეძლებს.

ჯოკოვიჩი ხუთშაბათს, ნახევარფინალში როჯერ ფედერერს დაუპირისპირდება.



სოლსკიაერი: „შესაძლოა ალექსის სანჩესი დავიბრუნოთ“

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ მთავარი პრობლემა შეტევის ხაზია, განსაკუთრებით მარკუს რეშფორდის ტრავმის შემდეგ, ამიტომ ის სანჩესის გუნდში დაბრუნებას არ გამორიცხავს:

– სანჩესი ინტერში ცუდად არ თამაშობს და რადგან ჩვენ შეტევაში სირთულეები გვაქვს, შესაძლოა მას ვუხმოთ დასახმარებლად. ვფიქრობ, ის იმსახურებს მეორე შანსს და მას გაცილებით მეტი შეუძლია. ვეცდებით, შეტევაში პრობლემები მოვაგვაროთ და ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

პედრო რომაში გადავა?

ლონდონის ჩელსის ესპანელი ფორვარდი პედრო როდრიგესი, შესაძლოა, რომაში გადავიდეს.

იტალიელები მისი შეძენით დაინტერესებულები არიან და თვითონ პედროსაც სურს გუნდის გამოცვლა.

წლევანდელ სეზონში მას ფრენკ ლამპარდი არ ენდობა და ესპანელი ფორვარდი თითქმის არ გამოდის მოედანზე.

პედროში ჩელსი, სავარაუდოდ, 20 მილიონს მოითხოვს და ამ ფაქტორმა შესაძლოა ტრანსფერს ხელი შეუშალოს, რადგან იტალიელები ამდენის გადახდას არ აპირებენ.

ინტერი ჟირუს აღარ იყიდის

ინტერმა ოლივიე ჟირუს ყიდვა გადაიფიქრა, რადგან ანტონიო კონტე თვლის, რომ გუნდს ახალი ფორვარდი არ სჭირდება. ჟირუს ინტერში გადასვლაზე აქტიურად მიდიოდა საუბრები, მაგრამ საბოლოოდ ოლივიეს სხვა გუნდის მოძებნა მოუწევს.

ცნობილია, რომ მას ჩელსიდან წასვლა სურს და მისი შეძენით ტოტენჰემი დაინტერესდა, რომელსაც ჰარი კეინის ტრავმის გამო ახალი ფორვარდი სჭირდება.

ჟირუმ განაცხადა რომ მას ძალიან უნდა ჩელსიდან წასვლა, ამიტომ ტოტენჰემში გადასვლას არ გამორიცხავს.

სუსო იჯარით სევილიაში გადავიდა

მილანის შემტევი ნახევარმცველი სუსო ესპანეთშია და კარიერას სევილიაში გააგრძელებს. სუსო სევილიაში იჯარით ზაფხულამდე დარჩება და ესპანურ გუნდს მისი გამოსყიდვის უფლება ექნება 20 მილიონ ევროდ.

სუსო მილანში 2014 წლიდან თამაშობდა და ის გუნდის ლიდერად ითვლებოდა, თუმცა წლევანდელ სეზონში მან დაკარგა ძირითად შემადგენლობაში ადგილი და სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

რობერტ სტურუას „სცენის დიდოსტატის“ ჯილდო გადასცეს

რეჟისორ რობერტ სტურუას საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ „სცენის დიდოსტატის“ ჯილდო გადასცა.

ეს ჯილდო თეატრალურმა კავშირმა წელს დააარსა და მისი პირველი მფლობელი რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა.

გიორგი ჩიტაურის დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება

2 თებერვალს ათენში მომღერალ გიორგი ჩიტაურის დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება.

სპეციალურად ამ საღამოსთვის მზადდება განსაკუთრებული შოუ პროგრამა, რომელსაც რესტორანი „ვახტანგური“ უმასპინძლებს.

ემიგრანტებისთვის მოწყობილ საქველმოქმედო საღამოში მონაწილეობას მიიღებენ თბილისიდან ჩასული სტუმრებიც. კონცერტს კი გია ჯაჯანიძე გაუძღვება.

30 იანვარი ლევან გოთუას ხსოვნის დღეა



30 იანვარი ქართული მწერლის ლევან გოთუას ხსოვნის დღეა. უკვე 4 წელია ამ დღეს მისი შემოქმედების მოყვარულები აღნიშნავენ.

წელს ამ დღეს ლევან გოთუას სახელობის პარკში, რომელიც მისივე სახელობის ქუჩაზე მდებარეობს, ყვავილებით შეამკობენ ლევან გოთუას ძეგლ-მემორიალს, შემდეგ კი ალიოშა ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბისა და ჭადრაკის სასახლის შენობის პირველ სართულზე, ქართველ მთამსვლელთა მუზეუმში, გაიმართება დიდებული მწერლის, მოგზაურისა და მთამსვლელის ლევან გოთუას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

ხსოვნის საღამოს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე ივანე ჯაფარიძე გაუძღვება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ১



შვეულად: 1. ქორ-შევარდენთა გამწვრთნელი; 2. პირველი ამერიკელი ასტრონავტი ქალი; 3. მამისონის უღელტეხილსა და დარიალის ხეობას შორის მდებარე ისტორიული ქართული კუთხე; 5. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. აეროპორტი ლუქსემბურგში; 9. ქალაქი იმერეთში; 13. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, შეკუმშვა; 15. მტაცებელი ფრინველი; 16. მიწის წიაღიდან მადნის მომპოვებელი საწარმო; 18. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში.

თარაზულად: 4. ზოგიერთი ქიმიური ელემენტის საერთო სახელწოდება, რომელიც ბუნებაში მხოლოდ მარილების სახით გვხვდება; 6. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი; 8. ეპისკოპოსთა უმაღლესი წოდება მართლმადიდებელ ეკლესიაში; 10. ქალაქის თავი ძველად იტალიაში; 11. ხალხური თქმულება, ლეგენდა; 12. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 14. ესპანური სპორტული გაზეთი; 17. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი; 19. მწირი, მოუსავლიანი ნიადაგი; 20. ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ორგანიზმი, მიკრობი; 21. ქართული ლუდი; 22. ტბების შემსწავლელი მეცნიერი; 23. უნივერსიტეტი პარიზში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა